

კავკასიი

DER KAUKASUS

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

Verwaltung: Berlin, Rankestraße 6

N 4—5

აპრილი—მაისი

N 4—5

შ ი ნ ა ა რ ს ი :

- შ. ამირეჯიბი — ოცდაექვსი მაისი.
- დ. სალირაშვილი — ღაუბრუნდეთ დიდ ილიას!
- შ. ამირეჯიბი — რა იყო მენშევიზმი საქართველოში?
- მ. ეგრისელი — ბ. ნ. უორდანიას მორიგი მარცხი.
- ვლ. ემუსვარი — დიმიტრი (არზაყან) ემუსვარი.
- წამებული — საერთაშორისო მდგომარეობა და ქართული საკითხი.
- პრესა
- კ. ჩოჩია — რა მოხდა ჩეხო - სლოვაკიაში?
- რ. გ — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- ქრონიკა. — სამგლოვიარო ფურცელი. საქართველოს ამბები. არქეოლოგიური გათხრანი.
- ჩვენი ფოსტა.

ოცდაექვსი მაისი

ამა წლის სამაისო ნომერში, „დამოუკიდებელი საქართველო“, თოთხმეტი წლის განმავლობაში „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო „და დღეს მოულოდნელად „ეროვნული ერთობის ორგანოთ“ გადანათლული, ერთ თავის წერილში, ასე ამკობს ოცდაექვსი მაისის დღეს:

„დღეს მაისია, თვე სიხარულის, სილამაზისა და სიყვარულის. ყველა ხარობს, ლიტონიობს უსულო და სულიერი. აქ, ბუჩქის ძირას თავს იწონებს თეთრი ზამბახი. იქ, მზის სხივებში გაბანდული ვარდთა გუნდი (!) სურნელების ეშხსა აფრქვევს. ჩიტუნების ურიამული ატკბობს, ათრობს არე-მარეს. სიყვარული, სიხარული, იმედი და მომავალი,



გვეფიცება განთიადი (!). ოცდა ექვსი მაისია, დღე ქართველი ერის გამარჯვების, აღდგომისა. თითქმის ბუნებაც თანაუგრძნობს. მას, ეტრფის მის ბედნიერ მომავალს“ — ო.

ეს უურნალი და მთელი მენშევიზმი აქამდის გვიქადაგებდა, რომ მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში — „მსოფლიო დემოკრატიის“ თანაგრძნობა არისო. რა დაემართა ამ „დემოკრატიას“ უურნალი მდუმარებს, მაგრამ გვეუბნება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას თურმე „ბუნებაც“ თანაუგრძნობს! რაღა ლაპარაკი უნდა, რომ „ჩიტუნები“, რომლებიც მსოფლიოში „დემოკრატიაზედ“ რიცხვით ნაკლები არ არიან, დიდი ძალაა! ასეა მენშევიკების საქმე დღეს ემიგრაციაში.

მაგრამ სხვანაირად არ იყო საქმე დაყენებული საქართველოშიაც. როდესაც საქართველო ჯერ მხოლოდ „დე-ფაქტო“ იყო ცნობილი, უორდანიას კაცი გიტარაზედ მღეროდა:

დე-იურეთ რომ გვიცნობენ,
საფლავშიაც ჩამომძახეთ-ო!

უორდანიას კაცს საფლავში რა უნდოდა, ან რა მოჰკლავდა?! იყო დაუშრომელი დეზერტირი და გამორბოდა ყველა ფრონტიდგან და ყველა ომიდგან! მაგრამ მენშევიზმის სტილი, მისი პატრიოტული ლირიზმი ასეთი იყო — სალი-სალამათი კაცი საფლავში წვებოდა.

მერე „დე-იურედაც გვიცნეს.“ მაგრამ უორდანიამ ეხლა „დე-ფაქტო“ წააგო საქართველო. საქართველოში ბოლშევიკები გამეფდნენ, უორდანია ემიგრაციაში გაიქცა. უორდანიას კაცმა მტერს თავი არ შეაკლა და სხვა სიმღერა მოიგონა:


მიყვარს ვარდი მყვარს ია,
მიყვარს ნოე უორდანია-ო!

ჩვენა გვაქვს მდიდარი ხალხური პოეზია, რომელშიაც ნაგალობებია ჩვენი ყოველ-დღიური და ჩვენი ისტორიულ ცხოვრება. შექებულია მეფენი, სახალხო გმირები და თავ-მოსაწონებელი ხალხი. მაგრამ ხალხის სწორ გემოს ვარდისა და იისთვის თამარ დედოფალიც არ დაუდარებია. დეე, ეხლა თითონ მეითხველთა წარმოიდგინოს, როგორ გააუგემურა მენშევიზმა ქართული სახალხო სიტყვა, ქართული სახალხო სიმღერა, რომ სამოცდათი წლის მამა-კაცს და ისიც ცხოვრების ყველა სარბიელზედ დამარცხებულს, ია და ვარდს ადარებს!

ასეთია მენშევიკური სული, ასეთია მისი „პატრიოტული“ ლირიკა. ასეთია „დამოუკიდებელი საქართველოს“ დღევანდელი ოცდა ექვსი მაისი. მაგრამ ასეთი არ არის თვით ოცდაექვსი მაისი.

ოცდაექვსი მაისი რომ უორდანიას არ მოუტანია, ეს გარემოება ცხადია თუნდა იმ ამბავიდგან, რომ ქართველი მენშევიკების ყრილობაზედ, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი ირჩეოდა, უორდანია დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო. დამოუკიდებლობის საკითხი ამ ყრილობაზედ ქართველმა მუშებმა იხსნეს, ხალხმა, რომელიც დიდი ხანია მენშევიკი აღარ არის. ოცდა ექვსი მაისი არ მოუტანია არც მენშევიზმს, რომელიც საქართველოში რუსული მოძრაობა იყო და ებრძოდა უმთავრესად საქართველოს ავტონომიას!

ოცდა ექვსი მაისი მოვიდა, როცა ამისი დრო დადგა, საქართველოს წარსულიდგან. ის იყო ქართველი ერის გაცოცხლებული ისტორია, მისი



საუკუნოვანი ტრადიცია, რუსეთისაგან დათრგუნვილი და აღმდგარი ქართველი ერის სულში, რაკი ეს რუსეთი თვით დაიშალა.

ოცდა ექვსი მაისი არის საქართველოს ძველი ისტორიის ახალი დღე, რაკი საქართველოს ისტორია გაცოცხლდა. ოცდა ექვსი მაისი არის ის დღე, რომელზედაც ოცნებობდა საქართველო მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მეოცის დასაწყისში, რომლისთვისაც წარსულში იბრძოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, 1832 წლის შეთქმულნი, ილია ჭავჭავაძე და მისი ბრწყინვალე თაობა, მთელი ქართველი ერი, ვიდრე საქართველოში უორდანიამ არ ამყნო რუსული მენშევიზმი, რამაც ეს ბრძოლა მხოლოდ შეაფერხა. და 1921 წელს ხომ დაღუპა კიდეც.

ამავე დროს ოცდა ექვსი მაისი არის მომავლის დღე, რომელიც ჩვენ უნდა აღვადგინოთ ახლად, მაგრამ უმენშევიზმოთ და უმარქესიზმოთ. მენშევიზმი და ბოლშევიზმი, გუშინდელი მისი გამხრწნელი და დღევანდელი მისი მანადგურებელი, ორივე მარქესიზმი და ორივე დამღუპველი ყოველი ერის, განდევნილ უნდა იყოს საქართველოდგან და ის უნდა განდევნოს, ამ განხლებულმა ოცდა ექვსმა მაისმა. ოცდა ექვსი მაისი არის სულით და გონებით განახლებული ქართველი კაცის აღთქმა, რომელიც გადურჩა გარუსებას და გამარქესისტებას. ოცდა ექვსი მაისი არა ორი საქართველო: „საქართველო ნაციონალური“ და „საქართველო სოციალური“, როგორც ამას უორდანია დღესაც გვიქადაგებს, არამედ საქართველო ერთი და ფრიადი! საქართველო ხან ჯერ კლასი, ხან მერე ნაცია, ან ხან ჯერ ნაცია და ხან მერე კლასი, როგორც ამას უორდანია გვთავაზობს, ქართველი ერი არ არის. ქართველი ერი ერთია, როგორც ერთია ოცდა ექვსი მაისი, დღე საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი მკვდრეთით აღდგენის და მისი ეროვნული მომავლისა!

გაუმარჯოს ოცდა ექვს მაისს, ქართველი ერის ერთობისა და თავისუფლების დღეს!

შ. ამირეჯიბი

დაუგრძელეთ დიდ ილიას.

(ჩვენი დარაზმულობის პროგრამისათვის).

ყოველი გულწრფელი ქართველი, რომელიც კი, ამა თუ იმ სახით, უცხოეთში მოჰყვა, თავიდანვე იმ იმედს ატარებდა, რომ ძველ პარტიათა მეთაურობა შესძლებდა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმის ნამდვილ იმედის მომცემ ნიაღაზე დაყენებას. სამწუხაროთ, ეს იმედი არ გამართლდა. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ ბევრი ქართველი, მეტადრე ახალგაზდა, ბრძოლის სწორი გზის ძებნაში, ხან ერთ დაჯგუფებას დაუახლოვდება და ხან მეორეს. ეს ჯგუფები კი, როგორც სოკოსავით მრავლდებიან, ასევე უმაღლ ჭინებიან.

მხოლოდ კავკასიის ფრონტის ქართული სექტიის საქმიანობამ, რომელიც ამ ხუთი წლის წინ დაიწყო, შესძლო ნიაღაგის მოკიდება. ეს მუშაობა გაიზარდა, გაფართოვდა. რაც დრო გადის, ერთ გამოკვეთილ მოძრაობად ხდება. მას ემატება ყოველ მხრიდან ახალ-ახალი



ძალები, განურჩევლად ძველი პარტიული მიმართულებისა ბეჭედისა რწმენისა. და ეს ხდება, მიუხედავად იმ დემაგოგიურ გამოლაშქრებისა, რომელიც ყოფილ პარტიათა მეთაურებმა მოიტანეს მასზედ წმინდა, რეალ, იმედის მომცემ საფუძველზე დამყარებულ სერიოზულ საქმეს ლელო გააქვს.

მხოლოდ ამ გაზრდილ მოძრაობას ესაჭიროება მტკიცე იღიოლო-გიური და ორგანიზაციული ჩამოყალიბება, შეფარდებული იმ მიზნებთან და ბრძოლის საშუალებებთან, რომლითაც ეს ახალი მოძრაობა მიღის. აი ამ მიზნისათვის, ჩვენ მეგობართა საყურადღებოთ, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს გამოვსთქვათ ზოგიერთი საერთო მოსაზრება რომელიც, ვფიქრობ, გაუადვილებს ჩვენს მოძრაობას, საბოლოვო დებულებათა ჩამოყალიბებას.

საქართველო-კავკასია, აი ჩვენი ბრძოლის საკითხი! საქართველო მრავალ წაუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის ამა თუ იმ ძრიელ მეზობლის გავლენას განიცდიდა. გამუდმებული ბრძოლებით დასუსტებულს საქართველოს, ერთ მორწმუნე რუსეთთან დაახლოებამ, ის იმედი არ გაუმართლა, რომელიც 1783 წლის ხელშეკრულებას უნდა მოჰყო ლოდა. ეს სრულიად ცხადი გახდა უკვე ამ ხელშეკრულების 17 წლის შემდეგ, როცა რუსეთმა თავისი მოცემული სიტყვა ვერაგულად გასტეხა და 1801 წ. საქართველოს ანექსია მოუხდინა, მოსპო რა ამ უხეში აქტით მისი სახელმწიფოებრიობა. ამ დღიდან, საქართველოს საუკეთესო შეილთ, არც ერთი დღით არ შეუწყვეტიათ ბრძოლა დაკარგულ სუვერენობის აღსაღვენად. ეს ბრძოლა სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ფორმას ღებულობდა. სამოციან წლებიდან მას ეძლევა რეალი, მაშინდელ მდგომარეობასთან შეფარდებული, და მყარ ნიადაგზედ დამყარებული გამოხატულება, რომელსაც, გასაოცარის გამოქანდაკებით, მკვეთრ სახეობას აძლევს, დიდი ილია, რამდენიმე სიტყვაში: საქართველო თავის თავს უნდა ეკუთნდესო! დიდი ილიას მიზანი, მისი წმინდა მისწრაფება იყო:

იმ დროის დაქუცმაცებულ საქართველოს გაერთიანება, წოდებათა და კლასთა შორის ჩატეხილ ხიდის გამთლიანება და ამით ერთ ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბებულ, სოციალ სამართლიანობაზე დამყარებულ, დამოუკიდებელ საქართველოს შექმნა.

უფრო მეტიც, დიდი ილიას ეს იდიალი არა მარტო საქართველოს მაშინდელ საჭიროებიდან გამოჰყავდა, არამედ, მისი ლრმა რწმენით. თანამედროვე კაცობრიობის განვითარებაც ამ გზით უნდა წასულიყო. და მართლაც ჩვენი სწორ-უპოვარი მოძლვარის ეს ცხოველ-მყოფელი იდეა თანამედროვე ცხოვრების განვითარებამ სავსებით გაამართლა. განვითარებული კაცობრიობა ამა თუ იმ სახით ამ იდიალის განხორციელებისაკენ მიისწრაფვის. ქართველი ერისთვის ხომ დიდი ილიას ეს ანდერძი გარდაუვალ მოთხოვნილებას გამოხატავს. ის უკვე დღეს ფაქტიურად ამ ნიადაგზე სდგას, გარნა უკხო ძალა, რომელიც ქართველ ხალხის სხეულს ჰალობს, ამ ნიადაგს ამახინჯებს. რა ბუმბერაზად გვევლინება დიდი ილია თანამედროვე ქართველობას თავისი შორის გამჭვრეტი გონების თვალით, თუ მივიღებთ მხედველობაში. რა სავალალო უსუსურობას იჩენდნენ იმ დროს ახლად წარმოშობილი

პოლიტიკური პარტიები, რომელთაც პირწმინდათ უარჲყვეს დიდი ილია. პირველ რიგშია ე. წ. „მესამე დასი“, რომელიც, თითქოს მოწოდებული იყო ილიას მემკვიდრეობა მიეღო, რისიც იმედი თვით ილიას ჰქონდა. მაგრამ, პირიქით, ცხოვრების უკულმართობის გამო, შეებრძოლა მის ცხოველ ყოფილ იდიალს, რითაც საგრძნობლად ხელი შეუშალა ქართველ ხალხის ეროვნულად დარაზმვას. დიდმა ილიამ თვისი ბრწყინვალე გონებით, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნეთი გაუსწრო თანამედროვეთ. ამ მხრივ ერთად ერთი გამონაკლისი, იქნება არჩილ ჯორჯაძეა. დღეს ჩვენ გვიხდება გავლილ გზიდან უკან დაბრუნება. აუცილებელი ხდება დიდი ილიასაკენ მიხედვა, ვინაიდან მისი ცხოვრებაზე წარმოდგენა და ამ ცხოვრების სათანადო მოწყობა არა უცხო მიწიდან იყო გაღმონერგვილი, არამედ თვით ქართულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, ქართულ ტრადიციით განმტკიცებული. ამიტომაა, რომ დიდი ილია ჩვენთვის-თვით პროგრამაა.

რა არის, თუ არა ცხოვრების სადღეისო მოთხოვნილება მისი შემდეგი სიტყვები!

„ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის. ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოფხვრას ჩვენს შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულ დენას შეერთებულის ძალისას. ამიტომ დიდათ სცოდვენ ქვეყანას და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განზე ცილება უნდა იყოს წოდებათა შორის, რადგანაც ეს განხეთქილება ევროპაში სუფევსო. ჩვენს ენაში სიტყვაც კი არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „სოსლოვიე“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა, ეხლა შემოგვყვავს ვაინაჩრობით და ისიც არ ვიცით, გამოდგება თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეს სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველ კანონებშიაც და წერილებშიაც არ შევხვედრივართ. განა ევროპა ცოტა დროს და ლონეს ჰქარგავს, ცოტა სისხლსა ჰლვრის, რომ ეს განხეთქილება მოსპოს?

მაშ სადაც ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს! ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შემოიტანოს სახლში მარტო იმისთვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო.“

აი ამიტომ არის, რომ ჩვენი ახალი დარაზმულებაც ძველებური ქართველური თავგანწირვით იბრძოლებს თავისი დიდი მოძღვრის ანდერძის განსახორციელებლად, მოუწოდებს რა ყოველ ქართველს მის გარშემო დარაზმვას.

ერთი გაერთიანებული დარაზმულობა — ერთი გამთლიანებული დამოუკიდებელი საქართველო, აი ჩვენი უპირველესი მიზანი.

მაგრამ თვისი გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, თვისი თვითმყოფობის მოპოვება და შემდეგში მისი უზრუნველყოფა, საქართველოს შეუძლიან მხოლოდ თავის ახლობელ მეზობლებთან მტკიცე, ძმურ კავშირში. ამიტომ კავკასიის ხალხთა მთლიანი ფრონტის შექმნა გარდუვალ ამოცანას შეადგენს. ჩვენი დარაზმულობა ამ საერთო კავკასიის ფრონტის გაშლილი დროშით იბრძოლებს,

როგორც მთელ, აწ დამონებულ კავკასიის გასანთავისუფლებლად, ისე მის ხალხთა მიერ მოპოვებულ თვითარსებობის შესანარჩუნებლად. ჩვენი დარაზმულობა ლრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ ასეთი მუშაობითაა შესაძლებელი და იმეტიანი ჩვენი ბრძოლა, საჭართველოს და მთელი კავკასიის დამპყრობელის წინაღმდეგ. და ეს იდეა არც ილიასათვის იყო უცხო. მისი „აჩრდილი“ და პუბლიცისტური ნაწერებია ამსი შოწმე. ილიას ერთგულ აზროვნებასთან დაბრუნება ჩვენი სულიერი განახლებაც იქნება, ასე საჭირო ჩვენს ბრძოლაში. დაუბრუნდეთ ნანდვილ ეროვნულ შეგნებას, დაუბრუნდეთ დიდ ილიას აზრებს!

დ. სალირაშვილი

რა იყო მენშევიზმი საჭართველოში?

ქართველი ერის ბედი, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, გადახარა იმ გარემოებამ, რომ „ერის მკეთებელის“ — ილია ჭავჭავაძის საჭართველო, როგორც უწოდა მსა ზურაბ ავალიშვილმა, სელში ჩაუვარდა მარქსისტების ულმერთო, ნილილისტ, ანტი-სახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ძალას. მკვდრეთით ალდგენილი საჭართველოს დამოუკიდებლობა ამ ხალხის უგუნურმა პოლიტიკამ იმსხვერპლა.

ეს არის აზრი და შეხედულება, რომელიც, ჩვენი ეროვნული ტრადიციის შემდეგ, ყოველი გონიერი ქართველის შეგნებაში ღრმად არის გამჯდარი. ქართველი კაცი თავის ქვეყნის ახლო ისტორიას სხვანაირად ვერ შეაფასებს, თავისი ქვეყნის მწარე ხვედრს სხვანაირად ვერ ახსნის. მენშევიზმი და ბოლშევიზმი, მარქსიზმის ორი სახე, ხანგრძლივი და აფთარის პროპაგანდით საჭართველოში თანაბრად მოდებული, ქვეყანას შიგნიდგან და გარედგან ანგრევდა.

ეროვნულ საჭართველოს რევანში ამ დიდ მარცხში, ჯერ მხოლოდ ის არის, რომ ამ ორ დამანგრეველ ძალაში, ერთი — მენშევიზმი — და უფრო პასუხის მგებელი, ამ დამოუკიდებლობას თან გადაჰყა. ის მოკვდა 1921 წელს, ტფილისის კართან, ისე რომ ვერ დაიცვა ქვეყანა, ერთხელ კიდევ გაცარცვა ხალხი და, ხატებითა და ჯვრებით დატვირთული, უცხოეთში გაიქცა. ნეგრინი, მსოფლიოში მარქსიზმს უფრო ცნობილი ესპანელი გმირი, პირველად საჭართველოში დაიბადა! . . .

ასეთია მენშევიზმის ბოლო. მაგრამ ქართულ ემიგრაციაში გასაოცარი ამბავი ხდება. ქართული წიგნის ბაზარი ემიგრაციაში, აქამდისნ მხოლოდ რამდენიმე და ჩვენდა სასახელოთ მშვენიერი წიგნის გამოსვლით აღნიშნული, უცბად და ვიღაცის დაუინებული ხელით, ზედი-ზედ ახალის წიგნით იტენება და კაცი ვერ მიხვდება, სად არის ან ამდენი სტამბა, ან ამდენი ფული, ან ამდენი მკითხველი, რომ წიგნი დაიბეჭდოს, გაიყიდოს და წაკითხულ იყოს? ამ წიგნებს სათაურებიც ისეთი აქვს, რომ უფრო ნაკლები სათაური ვიდრე,

მაგალითად: „ბრძოლა სამშობლოსათვის“, „სახელმწიფო და ერი“, „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში“ და სხვა — წიგნს არა აქვს! კაცი იფიქრებს, რომ „სამშობლოსი“, „საზოგადოებისა“, სახელმწიფოსი“ და „ერის“ ცნებათა ახლად გადაშლილ და გაბადრულ იდეოლოგიასთანა გვქონდეს საქმე, როგორც ეს ჩვენს ახალ დროებას შეეფერება. გეგონებათ, რომ ახალია არა მარტო წიგნის შინაარსი, ახალი კაცია თვით წიგნის ავტორიც, როგორც ახალია დღეს მსოფლიოში საქმე და კაცი!

მაგრამ საკმარი წიგნი გადაშალოთ და დაინახავთ, რომ წიგნის ავტორია გუშინდელი ტერორისტი, წიგნის შინაარსია — გაქაჩილებული მენშევიზმის პროპაგანდა. სამშობლოზედ, საზოგადოებაზედ, სახელმწიფოზედ და ერზედ სწერსა და ლალადებს ხალხი, რომელიც ყოველივე ამას, გუშინ გაშმაგებით ებრძოდა და რაც უფრო გასაკვირველია, ებრძვის თვით ამ წიგნებშიაც!

ამ „წიგნებში“ წინანი უკან არიან დაყენებულნი და უკანანი და სულ უკაასკნელნი — წინ! ლაპარაკია იდეებზედ, რომლებიც სხვასა სწამდა. ჩატარებულია სამოსი, რომელსაც სხვა ატარებდა. უღმერთონი ღმერთს ფიცულობენ, ნილილისტები კულტურას იცავენ, მარქსისტები — სახელმწიფოს და ინტერნაციონალისტები — ერს. თემიდას ტაძარში ქურდები შეჭრილან და სამართალს ასამართლებენ!

ამ ტერორისტული „ლიტერატურის“ უკანასკნელი ნობათი, ზემოთ ნახსენები „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში“ არის, რომელიც ეკუთვნის ბ. ურატაძის კალამს.

ბ. ურატაძემ თითონაც გარკვეულად არ იცის რა დასწერა და თავისი წიგნის „შესავალში“ აცხადებს: „წინამდებარე წიგნი არ არის ისტორია, არც საერთო და არც რომელიმე დარგის. ის არც პუბლიცისტიკა და არც ბელეტრისტიკა“ — ო. მაგრამ როგორც ნამდვილ პარანოიას შეშვენის — იქვე უმატებს: „შეიძლება ერთიცაა, მეორეც და მესამეც“ — ო.

მე უნდა დავამშვიდო ბ. ურატაძე. როგორიც არ უნდა იყოს მისი წიგნი, სადაც „პუბლიცისტიკა“ და „ბელეტრისტიკაც, მართლა, ბევრია, მისი წიგნი, ჩვენდა უნებურად, მაინც ისტორიაა, რაღაც ყოველი ასეთი ჟანრის წიგნს, სამწუხაროთ, ისტორია ჰქვიან. ბ. ურატაძემ მართლა საქართველოს „საზოგადოებრივი მოძრაობის“ ისტორია დასწერა და თავში ხელ-სატაცებელი სწორეთ ეს არის! არა იმიტომ, რომ კაცი, რომელსაც მართალი ჰქვა აკლია და გულის მაგივრადაც მხოლოდ ლილს ატარებს პიჯაკზედ — ვერასოდეს ვერავითარ ისტორიას ვერ დასწერს! არამედ და უფრო იმიტომ, რომ ბ. ურატაძე მენშევიკია და რაზედაც არ უნდა სწერდეს მენშევიკი შეუძლებელია ეგნატე ნინოშვილით არ დაიწყოს და ბ. უორდანიათი არ გაათავოს.

ბ. ურატაძის წიგნი, როგორც გაჭრილი ვაშლი, ცალია იმ წიგნის, რომელიც ამას წინად ბ. ა. ჩხერიმა გამოსკა. ორივე ამ წიგნის მიზანია — ნანდვილი ქართული ისტორია გააუქმონ და მის აღვილას მენშევიზმის ისტორია ჩასჭედონ. ძნელი საქმეა, დაუმტკიცებლის მტკიცების ცდაა, მაგრამ წიგნის ავტორები უკან არ იხევენ!

რა იყო, მართლა, მენშევიზმი საქართველოში? არსებობს ამ მენშევიზმის ერთი დახასიათება, ჩემის აზრით, განაჩენი ერთხელი და



სამუდამო და ის გვეკუთვნის არა ჩვენ, ვინც მენშევიკებს აქ, ემიგრატორები, ვეკამათებით, არა მათ, ვინც მენშევიკებს იქ, საქართველოში, ჯე კიდევ 1918 წლის წინ ეკამათებოდნენ, არც ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც, როგორც საქართველოს უკუვიანესმა კაცმა, მენშევიზმის მავნე მნიშვნელობა იმ თავითვე ცხად-ჰყო, არამედ ჩვენთვის სრულიად უცხო კაცს, რომელსაც, თავისი მაღალი რუსული თანამდებობის გამო, უმცდარად და პირუთვნელად უნდა სცოდნოდა თუ ვინ რა იყო საქართველოში და ვინ რას ემსახურებოდა?

და აი ეს კაცი, რუსეთის მეფის მოადგილე საქართველოში და მთელს კავკასიაში, ჭკვიანი, განათლებული და სახელმწიფო საქმეში გამოცდილი, გრაფი ვორონცოვ — დაშვილი, 1906 წელს, ე. ი. მაშინ, როცა მენშევიზმი ფაფარ — აყრილი დააქანებდა საქართველოში, ოფიციალურ მოხსენებაში სწერდა თავის იმპერატორს:

— საქართველოში, თავად — აზნაურობა, სამლელელობა და ინტლიგენცია სეპარატისტულია. ერთად ერთი ხალხი, რომელსაც შეიძლება რუსეთი დაეყრდნოს, ქართველი სოციალ — დემოკრატები არიან, საშიში რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფო ცენტრალიზმის და რუსეთის მთლიანობის მომხრენიო!

ასე აფასებდა ქართველ მენშევიკებს რუსის გამოცდილი მმართველი და ეხლა ლაპარაკი იმაზედ, რომ იგი სცდებოდა, ან მას არ ესმოდა თუ რას ამბობდა, მოცლილი ხალხის საქმე იქნებოდა. ესევე შეხედულობა ედო სარჩულად აგრეთვე იმ არა ნაკლებ გარემოებას, რომ რუსის ადმინისტრაცია მენშევიკებს საქართველოში იოლად ეკიდებოდა. არსად რუსეთის იმპერიაში მარქსისტებს არა ჰქონიათ პროპაგანდისა და აგიტაციის ისეთი სხვადასხვანაირი საშუალება, როგორც სქართველოში. მთავრობა სდევნიდა და ხშირად სასტიკადაც სჯიდა მენშევიკების ტერორისტებს, ექსპროპრიატორებს, პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, პარტიის უბრალო წევრებს და თანამგრძნობთაც და, მართალი უნდა ითქვას, „იდეისთვის“ ტანჯვც სწორეთ ამ გაბრიყვებულ და საბრალო ხალხს გადაჰქონდა თავის თავზედ. მაგრამ იგივე რუსის მთავრობა თვალსა ხუჭავდა პარტიის ლიდერებზედ, რომლებიც ლეგალურად სცხოვრობდნენ, ბეჭდავდნენ გაზეთებს, გადიოდნენ დეპუტატებად, იყვნენ ხმოსნები, მსახურობდნენ სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში და. . . ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს, საქართველოს ავტონომიის იდეას, ფედერალისტებს, ნაციონალისტებს, ყოველივე ეროვნულს და ყოველივე ქართულს, მათ მიერ „შოვინიზმად“ მონათლულს.

ეს მენშევიზმი, ეს, რუსული პარტია საქართველოში, ვინაიდგან ქართველ მენშევიკებს საკუთარი ქართული პარტია არა ჰქონდათ, დიდად სართა იყო რუსეთისთვის და დიდად მავნე ქართული ეროვნული ინტერებისთვის. ასეთი თავისი წარსული, ჩვენზედ კარგად, თვით მენშევიკებმა იციან. ამის გარდა, თავის თავზედ მათ იციან ისიც, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით და რაც იქნება ვერასოდეს ვერ გავიგოთ. და თუ დღეს თავის „ქართულობაზედ“ და იმ თავითვე თავის ქართულ ეროვნულ მიზნებზედ ლაპარაკობენ, ამისი მიზეზი არის ის რეაქცია, რომელიც დღეს საერთო მარქსიზმის წინააღმდეგ არის ამხედრებული.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა ეროვნულ იდეალს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, თუ მთლად ღმერთ-გამწყვალი ქართველი მენშევიკი არ არის. ხოლო ამ ბოლო დროს თვით ამ ქართველ მენშევიკებსაც ისე წაუვიდათ საქმე, რომ, გინდა-არ გინდა, თავის პარტიის „ქართულობა“ უნდა ამტკიცონ და რადგან მარტო ეს არა კმარა, მათ უნდა ამტკიცონ ისიც, რომ მენშევიზმი ქათული ეროვნული ინტერესების მოსამსახურე „მოძრაობა“ იყო—გუშინ და გუშინის წინ.

ამიტომ ისინი იძულებული არიან „ძირები“ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობს“ ისტორიაში სქებნონ და თუ ვერ ზახეს, თითონ შესთხზან ეს ისტორია. ბ. ურატაძის წიგნი ქართული ისტორიის გაყალბების ასეთი ცდაა. ავტორი გვიმტკიცებს, რომ მენშევიზმი ქართული ეროვნული ცხოვრების სრულიად კანონიერი მოვლენა იყო, მაგრამ უფრო „პროგრესიული“ — ვიდრე ილია ჭავჭავაძის, ეროვნული მიმართულებაო. სხვანაირად რომ ითქვას, რუსულ მენშევიზმში ბ. ურატაძეს რაღაც ქართული სისხლი შეჰყავს და მის გაქართულებას ლამობს.

როდესაც ნაპოლეონი ფრანგების იმპერატორი შეიქმნა, გაჩნდნენ ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კორსიკელი აზნაურის ძარღვებში ბურბონების სისხლიც სჩექეფსო. ასეთი მტკიცების ფასი კარგად იცოდნენ როგორც თვით ავტორებმა, ისე მათ, ვისთვისაც ეს, ბიოგრაფია იწერებოდა. აი ეს, ჰუმორი აკლია ბ. ურატაძეს! მას ავიწყდება, რომ ყალბი ბიოგრაფიები და ყალბი ისტორიები გამარჯვებული პირებისათვის და გამარჯვებული პარტიებისთვის იწერებოდნენ და იწერებიან. როდესაც ჩვენში ბოლშევიზმა გაიმარჯვა, მთელი ქართული მარქსიზმის ისტორია ლავრენტი ბერიამ სტალინს წალაში ჩაუდო და ჩვენა ვხედავთ, რომ სტალინს ეს, სიარულში არ უშლის, ყალბი ბიოგრაფია ალალი იყო ნაპოლეონზედაც, რადგან ნაპოლეონი გამარჯვებული იყო. მაგრამ ყალბი ისტორიის წერა ბ. უორდანიაზედ, რომელიც დღეს დამარცხებულია და ინტერნაციონალებში სამოწყალოდ დაიარება, ეს ნიშნავს, კაცმა ისეთი ყალბი ფული მოსჭრას, რომელიც ხალხში აღარ ტრიალებს!

აი რატომ მგონია, რომ ბ. ურატაძის ცდა სრულიად ამაო შრომაა. კრიტიკას მის წიგნში საჩერეკი და საძიებელი ბევრი არაფერი აქვს. განსაკუთრებით არაფერს წარმოადგენს ის საბუთი თუ „დოკუმენტი“, რომელზედაც ბ. ურატაძე აშენებს უმთავრესად თავის იმ ხუხულას, თითქოსნ მენშევიზმი საქართველოში იმთავითვე „ეროვნული“ და „ქართული“ მოძრაობა იყო.

ეს საბუთია ბ. უორდანის წერილი — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, პირველად, ამ ორმოცდა ხუთი წლის წინად უურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილი და 1937 წელს აქ, ემიგრაციაში, ბატონ ავტორის, „დღევანდელი“ საჭიროებისათვის ცალკე წიგნაკად გამოსული. მაგრამ იყო დრო და კარგა დიდიც, როცა, რა თქმა უნდა, აგრეთვე არა უმიზეზოთ, ეს წერილი ავტორს, პარტიასა და მის პრესას საფუძვლიანათ ჰქონდათ მივიწყებული.



ამ ორმოცდა ხუთი წლის წინადა და სწორეთ ამ წერილში, ბართული უორდანიამ მართლა გამოსთქვა თავისი „ეროვნული“ კრედო. ასეთი თავისი „ეროვნული“ კრედოთი ბ. უორდანია ბევრს ვერაფერს დაგვა-ყვედრებს. ეს, გახლავთ მისი, თუ გნებავთ ძველი, თუ გნებავთ ახალი, უფროკი მუდმივი ლათაია: საქართველო ერთი-ნაციონალურად, სა-ქართველო ორი—სოციალურად, ბ. უორდანიამ ესევე აზრი პოე-ტის რბაფიელ ერისთავის იუბილეს გამოც გაიმეორა. მე ვლაპარაკობ ძველ ამბებზედ. მან დიდად მოიწონა, რომ მცხოვანი მგოსნის გარშემო საქართველო ასე ერთ-სულად და ერთ-გულად შემოკრბა — ეს იყო მაშინ დიდი ქართული ეროვნული მანიფესტაცია — და თან დასძინა: აფსუს, რომ ეს ასე გაერთიანებული საქართველო ჯერ კლასობრივად არ არის დარაზმულიო. ამ რიგად, პოეტის იუბილეზედ გაერთიანებუ-ლად მოსულ საქართველოს, ბ. უორდანიამ დაშლისაკენ მოუწოდა. ეს იყო პირ-წმინდა და ორტოდოქსალური მარქსისტის მსჯელობა. ამითი დღეს კაცი თავს ვერსად ვერ გამოჰყოფს და ეს იყო აგრეთვე მიზეზი, რომ ბ. უორდანიას ასეთმა წერილებმა მაშინათვე გამოიწვია ილია ჭავჭავაძის და სხვათა მძაფრი კრიტიკა.

მაგრამ სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ერთი იქნებოდა საქართველო თუ ორი (ჩემის აზრით-სამი!) ბ. უორდანია მაშინ ლაპარაკობდა როგორც ქართველი მარქსისტი, ის ლაპარაკობდა საქართველოზედ, ის აზროვნობდა ჯერ კიდევ საქართველოს ჩარჩოში. მაგრამ ბ. უორდანიას ასეთი „ქართული“ კრედოც გაქრა, როდესაც ის და მისი ქართველი მიმღევრები, ასე „ქართულად“ და ასე „ეროვნულად“ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში“ შელაგდნენ და ჟსიტყვოთ გაიზიარეს მისი დებულებანი: ერთი მშრო-მელი ხალხი, ერთი კლასთა ბრძოლა, ერთი სოციალიზმი, ერთი რევო-ლუცია, ერთი დემოკრატიული რუსეთი! ბ. უორდანია ერთად—ერთი კაცია საქართველოში, რომელმაც ქართველობა რუსულ პარტიაში შეიყვანა და იქ არუსა! მაშინ გაჭრა საქართველო — „ერთი და ორი“, მაშინ იქნა დავიწყებული ყველა ამ ხალხისაგან ბ. უორდანიას დღეს, ასე ყბად-აღებული ეს წერილიც. ეროვნულ საკითხში რუსულმა პარტიამ ბ. უორდანიას მხოლოდ ერთი უფლება დაუტოვა: საქართვე-ლოს ავტონომიასთან ბრძოლა და ამას იგი მისდევდა 1918 წლის 26 მაისამდის! . . .

ამ რიგად, ბ. უორდანიას ეს წერილი, ემიგრაციაში დღეს წიგნაკად დარიგებული, რომელზედაც ბ. ურატაძე თავის ყალბ „ისტორიას“ აშენებს, სხვა და სხვა მოსაზრებით, ჯერ უკუ-აგდო ილია ჭავჭავაძემ მაშინვე და ძირიანად, მერე ის უარ-ჰყო თვით ბ. უორდანიამ. ვისაც ამ წიგნაკის ცალკე, დებულებათა გაცნობა სურს, უნდა მიმა-რთოს, ბ. რ. გ-ის წერილს, რომელიც ჩვენი უურნალის ამავე ნომერში იბეჭდება. მაგრამ ტყუილად ჰგონია ბ. ურატაძეს, რომ მენშევიკების „ეროვნული დროშა“ ბ. უორდანის სწორედ ეს წერილია.

მკითხველი ვერასოდეს ვერ გაიგებს, მაგალითად, რად დასჭირდა ბ. ურატაძეს, რომ თავის „ისტორიას“ 1821 წლიდგან იწყებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მის წიგნს ეწოდება არა უბრალოთ „საზოგადო-ებრივი მოძრაობა საქართველოში“, არამედ „საზოგადოებრივი მოძ-რაობა საქართველოში 1821—1921 წ.“ მაგრამ რაღა, მაინცა და მაინც,



1821 წელი! ამ წელს საქართველოში არა ყოფილა არც მიწის-ძვრა, არც წყალ-დიდობა, არც მზის დაბნელება, რომ ძველი მატიანების მიხედვით, ბ. ურატაძესაც ასეთი ნიშნიანი წლით დაეწყო თავისი „უამთა-ალმწერლობა“?! ხოლო, „საზოგადოებრივ მოძრაობას“ ან თუნდა მის ერთ ამბავს, ქართულს ცხოვრებაში ამ წლით აღნიშნულს, ავტორი ტექსტშიაც არ გვისახელებს. ოციანი წლები ბ. ურატაძის წიგნში, საზოგადოთ, სულ არ იხსენება.

მაგრამ ბ. ურატაძის წიგნში ყველაფერი ისე ნათელი და ცხადია, რომ გაუხსნელი ვერც ეს გამოცანა დარჩება. ავტორმა თავის ჰქუაში საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის „ასი წლის“ ისტორია დასწერა და ეს ისტორია 1921 წლით დაათავა. აქედგან, ასე დათვლით თუ ისე დათვლით, ასი წელიწადი, მართლა, 1821 წელზედ მოდის. ბ. ურატაძის 1821 წელი ამისი დარაჯია! მართალია, ამას წლების აღმა თვლა ჰქვიან, მართალია საუკუნე ასე ჯერ არც ერთ ისტორიკოსს არ უანგარიშნია, მართალია, „ურატაძის საუკუნე“ მაშინ სხვა წლებზედ მოვიდოდა, მას რომ თავისი ისტორია, ვთქვათ, 1939 წლით დაეთავებინა, მაგრა რა მნიშვნელობა აქვს, ერთი შიბრძანეთ, ყოველივე ამას, თუ ასი წლის ჩათვლა უწლებოთ და უფაქტებოთ, ბ. ურატაძეს თითებზედაც კარგა შესძლებია!

ბ. ურატაძის საუკუნე ასეთია. იქ არამც თუ ასი წლის საქართველო არ არის, იქ არ არის თვით ასი წელი. 1821 წელი ბ. ურატაძემ ხომ სულ აგანგალად აიღო, მაგრამ იქ არ არის არც ოცდაათიანი, არც ორმოციანი წლები. გაკვრით ნახსენებია ორმოცდაათიანი, ცოტა კიდევ სამოცდაათიანი, ცოტა მეტი ოთხმოციანი და ბ. ურატაძის სიბრძნის მილები მოშვებულია მხოლოდ ოთხმოცდაათიან წლებზედ, საიდგანაც, მისი განათლებულის აზრით, ეს მის ყოვლად ქებული „მესამე დასის“ ხანა იწყება. სულ ალარაფერი ითქმის წიგნის იმ სამ მეოთხედზედ, სადაც შენშევიკური მთავრობის ისტორია პირდაპირ გაზეთებიდგან არის გადმოწერილი, მენშევიკურ „არხივზედ“ რომ სულ არაფერი ვსთქვათ.“

ბ. ურატაძის წიგნი რომ სულ მარტივ სტატისტიკაზედ გადავიტანოთ-შემდეგ სურათს მივიღებთ: ალებულია 100 წელი-1821-1921 და მოცემულია ორასი დაბეჭდილი გვერდი და 7 თავი. აქედგან წიგნის ისეთ „დერეფნებზედ“ როგორც აუცილებელი „ავტორისაგან“ და „შესავალი“ არის, დაკარგულია-6 გვერდი. ნამდვილი „ისტორია“ იწყება მეთერთმეტე გვერდიდგან, მაგრა აქედგანაც ქართული ცხოვრების სამოცდაათ წელს, ე. ი. ხანას ალებულს 1821 წლიდგან, როგორც ეს თვით ბ. ურატაძემ ინება და გათავებულს, დაახლოვებით, 1890 წლით, ანუ ხანას „ფეოდალურს,“ დათმობილი აქვს 1 თავი და 16 გვერდი, ხოლო ხანას 1890 წლიდგან 1921 წლამდის, ანუ მენშევიკური სამოთხის“ ხანას — 5 თავი და 170 გვერდი. ასეთ წიგნს ბ. ურატაძე საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის „ისტორიას“ უწოდებს და ისიც ასი წლის მანძილზედ. ცხადია, რომ ბ. ურატაძემ თავის წიგნში საქართველო მოიპარა!

ბ. ურატაძის ასეთი „მეცნიერული“ მეთოდი და გარჯილობა, ჯერ საუკუნის ანგარიში, მერე მთელი ათეული წლების მოპარვა, შემდეგ თვით „მოძრაობების“ გაქრობა, სიტყვის სიძვირე, უვიცობა და ტყუილები ერთგან, სიტყვის სიუხვე, კიდევ უვიცობა და უფრო

მეტი ტყუილები მეორეთგან, უმთავრესად, აიხსნება ავტორის იმ პრიმიტივული გუნებით, რომ „მენშევიზმის“ წინა-ქართულ ხანას ბ. ურატაძე არა მარტო არ იცნობს, არამედ პირუტყვულადაცა სძულს და რაც უფრო მთავარია — არც ესმის. ნამდვილი ქართული საზოგადოებრივობის ამ კრიალა პარკეტზედ „სოფლის ინტლიგენტს“ — ბ. ურატაძეს ფეხი უცურდება, ვერა მაგრდება და გამორბის.

ამიტომ გასაოცარი არც ის არის თუ როგორ ეჭცევა ავტორი თავის წიგნში კერძოდ ილია ჭავჭავაძესაც.

დღეს ალარ დარჩა არც პუბლიცისტი, არც „თლათ უსტავლელი“ კაცი, თუ ესეც მენშევიკია, რომ კრეტინივით, არ იმეორებდეს, რასა სწერდა ილია ჭავჭავაძე თავის განთქმულ „ივერიაში“ — იმპერატორის ნიკოლოზ 2-ის ტახტზედ ასვლის გამო. ბ. ურატაძე სხვა მენშევიკ პუბლიცისტზედ ნაკლები ამ არის და ილიას წერილის ერთი ადგილი ტექსტობრივ მოჰყავს. მაგრამ მოჰყავს ისე, რომ რალა ამ ციტატის მოყვანა და რალა ილიას თავის მოჭრა! მაგრამ მე არა მგონია, რომ ილიას აზრი, ამ წერილში გამოთქმული, ბ. ურატაძემ ძალიან გაიგო და ამითი არს აღმფოთებული. როგორც ყოფილ პროპაგანდისტს, მას მხოლოდ ეს იმპერატორის ხსენება აფრთხობს. რუსეთის იმპერატორი და ილია ჭავჭავაძე მას ერთი ჰგონია. მაგრამ იგივე ბ. ურატაძე სულ არაფერს ამბობს იმაზედ თუ რასა სწერდა არა გაზეთში, არამედ მეტების ციხილგან, არა იმპერატორს, არამედ რუსის უანდარმებს ბ. უორდანია, თუმცა ბ. ურატაძის წიგნი, როგორც ითქვა, უმთავრესად და ცხრა მეათედით ეხება იმას თუ რასა „სწერდა“ და რას „აკეთებდა“ საქართველოში სწორეთ ბ. უორდანია.

თავის წიგნში ბ. ურატაძემ ილიას ხელმეორედ დაასია ყველა ის, ვისაც ოდესმე, ბონა-ფიდე, მასთან რამე კამათი ჰქონია. ფანდი მისახვედრია: შეხედეთ, ილიას მარტო მენშევიკები არ ვებრძვით, ჩვენზედ უწინ სხვაც ბევრი ებრძოდაო. ნიმუშად ნ. ნიკოლაძის ნ. ხიზანაშვილის, გ. ზდანოვიჩის, სტ. ჭრელაშვილის და სხვათა ნაწერებიდგან „ციტატები“ მოჰყავს და ილიას ასეთი „მტრების“ ალყაში ამყოფებს. მაგრამ ბ. ურატაძის წიგნიდგან მკითხველი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რას უპასუხებდა მათ წერის და პოლემიკის ქართული ღმერთი?! ვერ გაიგებს მკითხველი ვერც იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ეს ჩვენი დიდი და შესამჩნევი მოლვაწენი ისევ და მაინც ილიასთან მივიღნენ, მის შეხედულობა გაიზიარეს, მისი დროშა სწიეს. ბ. ურატაძემ ეს არ ცის. და მართლა, რიგიანი ქართველები ალარ უნდა ჯავრობდნენ, როცა ბ. ურატაძე ისე ეცოდვილება თავის წიგნში ილიას როგორც მაიმუნი სათვალეს. მისი ბრაზი უბრალო და მაიმუნურია: მან არ იცის სად გაიკეთოს ეს სათვალე! ბ. ურატაძემ არ იცის, რომ ილია ჭავჭავაძის ალიარება — არ ალიარების საკითხი პოლიტიკური შეხედულობათა დავის საკითხი ალარ არის. მან არ იცის, რომ ქართველი კაცისათვის ილია ჭავჭავაძის მთლიანად და უდავოდ მიღება კულტურაზედ ეკზამენის ჩაბარებაა. აი, კულტურის ამ ეკზამენზედ არ მოღიან ბ. ბ. ურატაძენი. . .

მენშევიკური ცინიზმის შედევრად ჩაითვლება ბ. ურატაძის წიგნის ის ადგილი, საღაც მოთხრობილია, 1900 წლებში, მენშევიკების მიერ, საქართველოს სოფლებში გაშვებული ტერორის ამბავი. აქ, ბ.



ურატაძე გამოდის არა მარტო როგორც ისტორიკოსი, არამედ, როგორც ამ ამბების მონაწილე და ის „სოფლის ინტლიგენტი“, რომელიც, მისი თქმით, მთელ ამ „საზოგადოებრივ მოძრაობას“ სათავეში ედგა. აქ მას ჭავჭავაძის „ივერია“ და სხვა ავტორთა „ციტატები“ აღარ სჭირდება და ამ ტერორის ამბავს აგვიწერს ისე ხალისით, საქმის ისეთი ცოდნით, რომ თუ ყველა მოკლულის არა, ყველა ტერორისტის პირადი მცნობი მაინც უნდა იყოს. მე არ ვეტყოდი ამას ურატაძეს, მას რომ ოცდაათი და მეტი წლის შემდეგაც ასეთი კმაყოფილი კილოთი და ასეთი აუკანკალებელი ხელით არა ჰქონდეს აწერილი ის ამბავი, თუ მენშევიზმის ამ „აყვავების“ ხანაში როგორ ჰქონდა ქართველი კაცი ქართველ კაცს, როგორ უწვამდნენ მემამულეს სახლს, როგორ ხოცავდნენ „ჯაშუშებს“ და როგორ იყო იმავე ტერორით ალკრძალული, რომ ან ჭირისუფლებს დაემარხათ თავისი მკვდრები, ან მღვდლებს ეწირათ მათი სულისთვის. მაგრამ დახოცილთა შორის რომ ცხრა მეათედზედ მეტი პატიოსანი და უდანაშაულო ქართველი იყო, ამისი თავდებია თუნდა ის ამბავი და მერე როგორი — რომ ამ წლებში მარქსისტების გაზეოთ „ჯაშუშად“ მონათლა თვით ილია ჭავჭავაძე და მერე ხომ მოჰკლეს კიდევაც!

მენშევიზმის მეორე თავ-გამოდებულმა დამცველმა, ბ. აკაკი ჩხენელმა ამ წლებს უწოდა — „ხალხი სცენაზედ.“ ხოლო რას აკეთებდა „ხალხი“ ამ „სცენაზედ“, ამას ბ. ურატაძე გვიხსნის: ზოგ ადგილას მოსპობილ იქმნა საეკლესიო ჯვარის წერა, მის ნაცვლად შემოღებულ იქნა სამოქალაქო დაქორწინება — ო! მაგრამ ბ. ურატაძე აღარ გვიბანებს, ან ეს საეკლესიო ჯვარის წერა ვინ „მოსპო“ ან რომელი იყო ის დაწესებულება, რომელიც დედალ-მამალი მენშევიკის სამოქალაქო“ ქორწინებას აკანონებდა? და აი, აქ თვალში გვეყუდება მენშევიზმის მთელი ლაზათი-„სოფლის კომიტეტი“, რომელიც ჰქონდა და სწვამდა, ჰყორიდა და აქორწინებდა, მღვდელს აშინებდა და მკვდარს არ მარხავდა. მენშევიკური უაკერიის, ამ ნაადრევი ბოლშევიზმის აღწერილობას, „სოფლის მასწავლებელი“ და „სოფლის ინტელიგენტი“ ურატაძე ასე ათავებს: „ყოველივ ამას წინ უძლოდნენ და მეთაურობდენ სოც. დემ. ჯგუფები“ — ო.

მაღლობა ღმერთს, რომ მენშევიზმსაც გამოუჩნდა თავისი მთხრობელი და ეს „მთხრობელი“ მათივე კაცია. მაგრამ მაშინდელი უბედურობა მარტო ის არ იყო, რომ ქართველი ქართველს ჰქონდა, მეზობელი მეზობელს სახლს უწვამდა და ქართული სოფლის გოგო-ბიჭები ერთმანეთს „სამოქალაქო“ დაერივნენ. ბ. აკაკი ჩხენელის შესანიშნავ „სცენაზედ“ ბოლოს რუსის მთავრობა გამოვიდა და ეხლა ის ხოცდა ქართველ ტერორისტებს. მოვიდნენ რუსის ეგზეკუციები და ეხლა ისინი სწვამდნენ „დამწველების“ სახლებს. ბ. უორდანიას „ორმა საქართველომ“ ისე იწარმოვა საქართველოში, რომ ბოლოს და ბოლოს, რეველუციონერებისაგანაც და რუსის მთავრობისაგანაც ისევ ქართველის სისხლი იღვრებოდა. ბ. ურატაძე, რა თქმა უნდა, არაფერს ამბბობს იმის შესახებ, რომ ამავე ღრმოს ეს იყო წლები, როცა ბ. უორდანიას ლაშქარი განსაკუთრებით ეკვეთებოდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნილებას და ამ რიგად, ქართველი კაცის სიცოცხლე, ქართველი კაცის კერა და ქართველი კაცის ფიქრი ყველა ერთად იკვლოდა, ყველა ერთად იწვოდა, ყველა ერთად ითრგუზვებოდა.

ქართული ეროვნული მისწრაფებისთვის ეს იყო წლები, რომ ამის შემხედავი და ამით გაოგნებული სულ-მნათი აკაკი ამბობდა: — ვერ გამიგია, თითქოს რევოლუცია არის, თითქოს ხალხი თავისუფლებისათვის იბრძვის, რუსის მთავრობა ამდენ ქართველ კაცსა ჰქონდა და სიკვდილის წინ ერთს არ დაუძახნია — გაუმარჯოს საქართველოს!

ამის პასუხი ბ. აკაკი ჩხერიმელმა თავის შესანიშნავ „სახელმწიფოსა და ერში“ მოგვცა. არ დაუძახნია, მაგრამ იგულისხმებოდაო! პასუხია, მაშ რა არის! მაგრამ ეს პასუხი ველარ გადღააჯერებს ჩვენ დიდებულ მგოსანს, რომელმაც, შეაფურთხა რა ყველა აკაკებს — ვინც წერეთელი არ იყო, სხვა უკეთეს ქვეყანაში ამ რწმენით წავიდა... აი, რა იყო, ბატონებო, მენშევიზმი საქართველოში!

შ. ამირეჯიბი

ბ. ნოე უორდანიას ვორიგი გარცები.

ბ. უორდანიას ოფიციოზში მოკალათებული შევერცხლილი დემაგოგი მეტად გასწყრომია ჩვენი უურნალის თებერვლის ნომერს.

იძულებული ვხდებით მას პასუხი გავცეთ, რათა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ იცოდეს თუ ვინ ელობება წინ და ვინ ამარცხებს ბ. ნ. უორდანიას ახალ კომბინაციებს.

საქმე შეეხება ისევ უორდანიას გარშემო „ქართულ პატრიოტულ ფრონტის“ შექმნას. „ბრძოლის ხმის“ უურნალისტი დიდის ამბით ამცნობს თავის მკითხველს, რომ ჩვენ „ველარ ვმალავთ“ ჩვენს წინაამდეგობას ბ. უორდანიას ოინებზე.

ჩვენ არასდროს არ დაგვიმალავს, რომ ბ. უორდანიასთან რაიმე ურთიერთობის დამყარება ქართველ ნაციონალისტის დანაშაულად მიგვაჩნია ჩვენი ერის მიმართ, რაღაც ეროვნულ მისწრაფებათა მისაღწევად, საჭიროა უპირველეს ყოვლისა უორდანიასი და მისი წრის სრულ იზოლიაციაში მოქცევა და მათთვის საქართველოს სახელით ლაპარაკის უფლების აღკვეთა.

ანალიზი მისი, ქარველი ერის დამღუპველ წარსულ და აწმუნ მოლვწეობისა უნდა უკარნახებდეს თვით ბ. უორდანიას ასეთი განდგომის საჭიროებას. თუ კი შეგნება ამ ერთად ერთი სამსახურის, რომელიც მას შეუძლია გაუწიოს, მთელ თავის ცხოვრების მანძილზე, ქართველ ერს ბ. უორდანიას არა აქვს, ქართული ეროვნული ემიგრაცია ვალდებულია ეს საჭიროება შეაგნებინოს.

აი ჩვენი ურყევი, ბევრჯერ აშკარად თქმული და არა მალული შეხედულება ამ საკითხზედ.

ეს სრულებით არა ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვესმოდეს აუცილებლობა ქართულ ეროვნუ ძალების დაჯგუფებისა.

ვინც დღევანდელ საბედისწერო მომენტში ქართულ ეროვნულ ძალების შეჯგუფებას ებრძვის, ის მართლაც მტერია და მოღალატე საქართველოსი. ჩვენი უურნალის ფურცლებზედ არა ერთხელ აღნ-



იშნულა აუცილებლობა ქართული ძალების მთლიანობისა, ანტიეროვნულ და საქართველოს მორალურ და ფიზიკურად გამანადგურებელ უორდანის წრის გამოკლებით.

ჩვენ არც იმისი თქმა გვსურს, რომ 5—6 წევრიან ჯგუფებად დაქუცმაცებულ ეროვნული ძალების „გაერთიანება“ მართლა აუცილებელია. ეს ჯგუფები სულ უნდა დაიშალონ, რადგან ისინი მხოლოდ თავიანთ „ლიდერების“ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად თუ არსებობენ. ჩვენ მოვითხოვთ ყველა რიგიან ქართველის ერთად შეკრებას და მათგან ახალი და მართლა გაერთიანებული ეროვნული დარაზმულობის შექმნას.

ასეთი შეხედულება და აზრი, ქართული ეროვნული საქმიანობისთვის უცხოეთში, საყოველთაოდ და სავალდებულოდ უნდა იყოს მიჩნეული, თუ ეს ჯგუფები მართლა ეროვნული ინტერესების დაცვას ისახავენ წინ და არა თავიანთ „ლიდერების“ ჯალაბობას. ჩვენდა სავალალოდ, ქართველ ნაციონალისტებში გამოიძებნენ პირები, რომლებმაც აზრი შეიცვალეს და ბ. უორდანიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოამჟღავნეს.

შეიძლება ზოგი მათგანი გულწრფელად სცდებოდეს, ზოგ მათგანში კიდევ უორდანის კომბინატორული სული სუფევდეს, მაგრამ ფერუცვლელ უორდანიასთან მისვლა მაინც უხერხულია მათთვის.

ბ. უორდანია, მისი პოლიტიკის სრული გაკოტრების და ევროპაში მომხდარ ცვლილებების ზეგავლენით, უკვე შარშან გაზაფხულს მიხვდა ფერისცვალების საჭიროებას.

სოც. დემოკრატიულ პარტიის საზვარგარეთელ ბიუროდან „გასვლა“ დასაწყისი გახდა ბ. უორდანიას კომბინაციებისა.

ზოგიერთ გულუბრყვილო ქართველს უორდანიას ამ მოფიქრებულმა თეატრალურმა უესტმა დავთარი აუბნია და უორდანიას „მორჯულების“ შესაძლებლობა დაანახვა.

ამასთანავე ბ. უორდანიამ მოხერხებულად გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგ ამტყდარი დავა სამხრეთ საზღვრების შესახებ და ემიგრაციას თავი შეურიგებელ ირედენტისტად მოაჩვენა.

სინანდვილეში კი ბ. უორდანიას პლზიცია საზღვრების შესახებ მუდამ იგივე იყო რაც ჩვენი.

ამ ორმა ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, უკეთ რომა ვსტქვათ, ბ. უორდანიას „იდეური ევოლუციის“ მოჩვენებამ ერთის მხრით და მისი ქართველ ირედენტისტების მეთაურად დასახვამ-მეორეს მხრით, შესაძლებელი გახადა ზოგი ქართული ჯგუფების მასთან კონტაქტში შესვლა.

ოფიციალური მოლაპარაკება ამ ჯგუფთა და ბ. უორდანიას შორის დაიწყო ბ. სპ. კედიას მოხსენებით — „ჩვენი მოვალეობა“ (წაკითხულია 30 ოქტომბერს 1938 წ.).

ოქტომბრიდან უკვე ექვსი თვე გავიდა და ბ. უორდანიას კომბინაციებიდან ჯერ არაფერი გამოვიდა, გარდა სხვადასხვა კომისიების დაუსრულებელი სხდომებისა.

რა, ან ვინ უშლის ხელს ამ შეთანხმებას? „ბრძოლის ხმის“ დემაგოგი უურნალისტი ბრძანებს, რომ უორდანიას ამ ახალ კომბი-



ნაციას, მათ მიერ „ქართულ პატრიოტულ ფრონტად“ წოდებულს, ჩვენ ვებრძვით და ალბად ხელსაც უშლით.

როგორც ჩვენ ზემოდ მოვახსენეთ „ბრძოლის ხმას“, ჩვენი უარ ყოფითი შეხედულება უორდანიასთან კავშირზედ აშკარაა საზოგადოებისათვის. მაგრამ არც ჩვენი ეს შეხედულება და არც ჩვენი ხელის შეშლა არაფერ შუაშია ნ. უორდანიას ამ მორიგ მარცხში.

ბ. ნ. უორდანიას ამ ახალ კომბინაციას შეუძლებელს ხდის და ებრძვის მისვე წრე და მისივე „ცენტრი“.

პოლიტიკურ კულისების არა მცნობ აღამიანებისთვის უცნაური იქნება ჩვენი ასეთი განცხადება. ამ წერილის მიზანია ამ განცხადების რეალობა მკითხველს დავანახვოთ.

ასაკში შესულ და საქართველოს მიმართ ცოდვით დატვირთულ უორდანიას ინტერესები არ ხვდებიან მატემატიკური სისწორით მისი წრისა და მისი ცენტრის ინტერესებს.

ბ. უორდანიასა სურს რეაბილიტაცია მოახდინოს და ისტორიის წინაშე გათეთრებული წარსდგეს.

ბ. უორდანიას ეს სურვილი რეაბილიტაციისა სჭარბობს მის, მეორე და მთავარ — ქართული პოლიტიკის უკონტროლო ბატონობის შენარჩუნების-დაუცხრომელ სურვილს.

უორდანიას წრე და მისი ცენტრი კი ანონიმური სააქციონერო საზოგადოებაა, რომლის ინტერესი დღევანდელ მდგომარეობის შენარჩუნების სურვილს არა სცილდება.

ხოლო არსებული მდგომარეობის შენარჩუნება შესაძლებელია ამ ანონიმური საზოგადოებისთვის მხოლოდ დღევანდელი მისი აღმინისტრატორის, ბ. უორდანიას საშვალებით.

ამ ინტერესთა სხვაობით აიხსნება ის ჩუმი ბრძოლა, რომელიც უორდანიასა და მისი წრის შორის სწარმოებს.

ბ. უორდანია სცდილობს ამ წრეს გაუსხლტეს, ძველი ანონიმური საზოგადოება დაშალოს და მის მაგივრად ახალი შეადგინოს.

ამ ახალ საზოგადოებაში „ოპოზიციური“ ელემენტების შეყვანით, ბ. უორდანია სცდილობს ის ხუხულა შექმნას, რომელსაც „ქართულ პატრიოტულ ფრონტს“ უწოდებს.

ამ ხუხულის შექმნით ბ. უორდანია სცდილობს ისტორიაში შევიდეს არა როგორც სექტანტი-მენშევიკი, ყოველივე ქართულის დამშლელი და დამანგრეველი, არამედ ასეთი ცოდვებისაგან გაწმენდილი.

თან შეიძლება იმასაც ფიქრობდეს, რომ ამ კომბინაციით დღესაც კოჭი ალჩუდ დაუჯდეს.

უორდანიას წრეს კი ეს მოსაზრებანი არ აინტერესებს და ის მხოლოდ არსებულითაა დაინტერესებული.

ამიტომაცმუ ანონიმურ საზოგადოების დაშლას ეწინააღმდეგება.

ახალ აქციონერების მიღება მათთაცა სურთ, მაგრამ მცირედი აქციების მიცემით. საკონტროლო პაკეტი უორდანიას წრეს და ფრონტს თავისთვის უნდა.



ხოლო მომავალ ფრონტისტებისთვის უორდანიასთან თანამშრომლობის გასამართლებლად სწორედ საკითხის ასეთნაირად დაყენება მიუღებელია.

საკონტროლო პაკეტი მათ უნდათ ჩაიდვან ხელში და უორდანიც მათ მიერ არჩეული აღმინისტრატორი უნდა იყოს.

აქ ბ. უორდანიას და მომავალ ფრონტისტების სურვილი ერთმანეთსა ხვდება. ბ. უორდანიას და ახალ ფრონტისტების სურვილთა თანხმობამ უორდანიას წრე და ცენტრი საფრთხეში ჩააგდო.

საფრთხის თავიდან ასაცდენად უორდანიას წრე და ფრონტი უორდანიას ყალთაბანდობის მხილებას თვითონ შეუდგა.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ ის ორი გარემოება, რამაც შესაძლებელი გახადა ზოგიერთ ქართველ ნაციონალისტვისათვის უორდანიასთან კონტაქტში შესვლა. ეს გახლდათ მოჩვენება ბ. უორდანიას „იდეური ევოლიუციისა“ და მისივე ვითომდაც „ირედენტისტობა“.

უორდანიას წრე მიხვდა, რომ ამ ახალი კომბინაციის ხელის შესაშლელი საუკეთესო საშუალება უორდანიას ყალთაბანდობის გამოაშკარავება და ამითი მისი განგვირვენება იყო და ამ მიზანს ბ. უორდანიას წრემ დაცენტრმა ჩინებულად მიაღწიეს.

„დამოუკიდებელ საქართველოს“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მეთაური წერილი, საღაც შემდეგს ამოიკითხავს განცვიფრებული პატიოსანი ქართველი ემიგრანტი: „როცა ამ საგანზე ვბაასობთ, ჩვენ უნებლიერ გვაგონდება პოლიგლოტ „კავკაზი“-ს კამპანია იმის გამო, ვითომ ჩვენ, ქართველები, მებრძოლნი რუსეთისაგან განთავისუფლებისთვის, თურქეთის დღევანდელი საზღვრების გადაწევას მოვითხოვდეთო“-ო. და ცოტა ქვემოდ: „ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან კავკასიის ერთა სულისკვეთება, რომელნიც თავდადებულად იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ თავის დამოუკიდებლობის აღსაღვენად არსებულ საზღვრებში“-ო. „დამ. საქართველო“ ჩივის რომ ჩვენ მისთვის ცილი დაგვიწამებია.

ცილისწამებას, რასაკვირველია, ჩვენის მხრით აღვილი არაჰქონია. ჩვენ პირიქით სულ იმას ვამტკიცებდით, რომ ბ. უორდანიას პოზიცია ჩვენს პოზიციასთან იდენტიური იყო, ხოლო ჩვენთან ბრძოლის მიზნით, ამავეს იგი ყალთაბანდურ ფორმებში გახვეულად ბრძანებდა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით „დამ. საქართველომ“, ყველასათვის გასაგებად გახხადა უორდანიასი და მისი წრის პოზიცია . . .

„ბრძოლის ხმის“ მარტის ნომერში დაიბეჭდა რეზოლიუციები მენშევიკური პარტიის კონფერენციისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში 11 და 12მარტს . . . ამ რეზოლიუციების განხილვა ჩვენსავე თეზას ამტკიცებს. ბ. უორდანია ვერც პარტიისა შლის, ვერც ინტერნაციონალსა შორდება და მისი პარტია გამარჯვებულის მედიდურობით ყველაფრის დაპატრონებას, ყველაფრის მეთაურობას ჩემულობს.

ბ. უორდანიას „იდეური ევოლიუცია“ მითი, ზღაპარი გამოდგა; მის უკანასკნელდ მოწოდებაში მოცემული ფორმულა „ჯერ ეროვნული ბრძოლა, მერე სოციალური“ იყო ჩვეულებრივი ყალთაბანდური ფორმულა სინანდვილის დასამალავად.



პარტიამ აქაც სააშკარაოზე გამოუტანა უორდანიას მისი ჩუმი გულისნადები . . . პარტია არც სიკვდილს, არც დაშლას არ აპირებს, პირიქით ის „მედგრად სდგას საქართველოს საღარაჯოზედ“, სოციალისტური ინტერნაციონალის დარუსეთის რევოლუციონური მასების იმედით.

აი პასუხიც ბ. უორდანიას პარტიისა და მისი ცენტრისა „ახალ ფრონტისტებს“. „თქვენ გინდათ საკონტროლო პაკეტი და აღმინისტრატორიც წაგვართვათ და ამისთვის უორდანიას ყალთაბანდურ ფორმულებს ეფარებით. მაშ ჩვენ გიჩვენებთ რა ზეპარტიული და რა ირედანტისტიც გახლავთ უორდანიაო“. უჩვენეს კიდეც. სცადოს ეხლა ბ. უორდანიამ და თავის პარტიას და ცენტრს დეზავუაცია მოუხდინოს.

პარტიის და „ცენტრის“ ანგარიში სწორიც არის. სანამ უორდანია თავის ნამდვილ სახეს მალავდა, ახალ ფრონტისტებისთვის შესაძლებელი ხდებოდა, გარეგნული ფორმის შენახვით, შასთან თანამშრომლობის ძებნა.

დღეს კი უორდანიასთან, -საკუთარი პარტიისა და ცენტრის მიერ სააშკარაოზედ გამოყვანილთან, ვერცერთი, თავისი თავის ოდნავად პატივისმცემელი ნაციონალისტი — ვერ მივა.

„ბრძოლის ხმი-“ს დემაგოგის და მისი ავანჩავანების სურვილიც ეს არის. საკონტროლო პაკეტი და აღმინისტრატორიც მათ დარჩებათ.

აი ვინ უშლის ხელს და ვინ ებრძვის ბ. უორდანიას იმ ახალ კომბინაციას, რომელსაც ის ქართულ პატრიოტულ ფრონტს უწიდებს.

აი ვინ არის მიზეზი ბ. უორდანიას ახალი მარცხისა. და თუ ჩვენი არა სჯერა „ბრძოლის ხმას“, წაიკითხოს თავდადებულ ახალფრონტისტების მეცამეტე უურნალში, — რომელიც სამარცხვინოდ, მიხა წერეთლის გვერდით, საქართველოს პირველ კაცად ბ. უორდანიას ასაღებს, — ვინმე „ალდანის“ შემდეგი სტრიქონები: „მაგრამ გარდა პპარტიული ატავიზმისა არსებული წესის შეცვლას სხვა, უფრო უშუალო მატერიალური ინტერესებიც უშლის ხელს. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ეგრედ წოდებული „ეროვნული ცენტრის“ წევრები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან სწორედ. ამ „ცენტრის“ წევრობისთვის, და ამ თავის მდგომარეობის დაცვის მიზნით, რადიკალური გადახალისების იდეას პარტიულობის დაშლას, მძაფრ წინაღმდეგობას უწევენ. ჩვენის აზრით, ეს შიში უადგილოა, რადგან ბ-ნ სპირიდონ კედიას მიზანი ეროვნულ საქმის სწორ გზაზე დაყენებაა, და არა ვინმეს დამშევა და უსახსროდ დატოვება. შეიძლება მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს კიდეც, თუ ემიგრაციის უველა ძალები შეერთებული ენერგიით შეუდგენ ეროვნული საქმის კეთებას.“

ჩვენ დაგვრჩენია ამას დაუმატოთ, რომ მიუხედავად ჩვენი შეურიგებელი პოზიციისა ამ ცენტრისადმი, ასეთ რამეს ვერა ვკადრებთ არამცულ ზოგს პატივსაცემ და გუგებრობით უორდანიას გვერდით მჯდომ პირსა, არამედ არცერთ ქართველ კაცსაც.


მ. ეგრისელი

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი † დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი.

29 - მარტს ქართველმა ემიგრაციამ პარიზში მიწას მიაბარა მისი ერთი თვალ-საჩინო, მაგრამ ნაკლებად ცნობილი წევრის, აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის ცხე-დარი. უურნალ „კავკასიის“ რედაქციამ მე მთხოვა მიმეწოდებია მის-თვის მასალა მის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვითარცა მენშ-ევიკური პარტიის ერთგული მოსამსახურე, უურნალ „კავკასიისადმი“ მტრულად იყო განწყობილი.

საზოგადოთ, ვინც არზაყანს საქართველოში არ იცნობდა და მხოლოდ ემიგრაციაში გაიცნო, მასზე იგი ვერ ახდენდა მაინცა და მაინც კარგ შთაბეჭდილებას და ეს ადვილად გასაგებია; ემიგრანტულ ცხოვრებას თავის—კანონები აქვს. აქ ხშირად მყარდება იგივეობა საშუალებასა და მიზანს შორის. არზაყანს აბხაზეთში უხდებოდა მუ-შაობა დიდის შაშტაბით, აქ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მენშევიზ-მისადმი ულრძესი სიყვარულით იყო გამსჭვალული, ვინაიდან იგი იყო ბაზა მისი მოლვაწეობის, მაგრამ ამასთანავე იგი იყო არა თვით მიზანი, არამედ საშუალება, მის გულში მთავარი ალაგი ხალხს ეჭირა, რომელიც თანაც ცოცხალი არსება მთელი ჭირ-ვარამით მას თვალ წინ უდგა. ემიგრაციაში მას პატარა მაშტაბით უხდებოდა მუშაობა, აქ პარტია მისთვის იყო არა მარტო საშუალება, არამედ თვით სამშობლოს სუროვატი, თანაც ამ შეფასებაში, რომელთანაც მას საქმე უხდებოდა, აქტიურად ებრძოდენ ერთმანეთს არა სამართ-ლიანობა უსამართლოობას, არამედ ერთის სახის უსამართლობა მეორე სახის უსამართლობას.

სულ სხვა იყო მისი მდგომარეობა აბხაზეთში. აქ მას უხდებოდა მოლვაწეობა ისეთ პირობებში, საღაც მას არ ხვდებოდა სხვების მიერ შემუშავებული და ნაკარნახევი მუშაობის მეთოდი. აქ ყოველთვის იყო გარკვეული პოზიცია, აშკარა იყო, თუ საღ რომელ მხარეზე იყო სამართლიანობა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ არზაყანი მიმხრობოდა უსამართლო მხარეს, არ ყოფილა ადამიანი, რომლისთვის მას უსამა-რთლოდ რამე ზიანი მიეყენებინოს. ვინაიდგან აბხაზეთი იყო ლატაკი ინტლიგენტური ძალებით, ამიტომ მას იქ დიდის მაშტაბით უხდებოდა მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ თვით იგი არ იყო დიდი მაშტა-ბის კაცი. მხოლოთ მას შეეძლო დიდი მშტაბის კაცი ყოფილიყო, რომ გაეგრძელებინა მუშაობა იმ გზით, როგორც მან ქუთაისის სემინარი-აში დაიწყო. აქ იგი მეთაურობდა მოწაფეთა საუკეთესო, აქტიურ წრეს. იგი რედაქტორობდა ახალგაზღურ ქართულ უურნალს სემენა-რიელებისას, რომელსაც „რიურაჟი“ ერქვა. ვინაიდგან ეს კულტუ-რული მუშაობა მას დიდ დროს ართმევდა, ამიტომ მან ვერ მოახერხა სემინარიის გათავება პირველის ხარისხით, და ეს გარემოება მას უნივერსიტეტის გზას უკრავდა. მხოლოდ 1904 წ. მიენიჭათ მეორე ხარისხით კურს-დამთავრებულთ უფლება უნივერსიტეტში შესვლისა. აქ მან ჩაიდინა საბედისწერო შეცდომა, რომ არ ისარგე-ბლა ამ შემთხვევით და არ შევიდა უნივერსიტეტში. მით უმეტეს რომ 1904 წელს მან, ორი წლის მეცადინეობის შემდეგ, განითავისუ-ფლა თავი იმ საფთხისაგან, რომელსაც იგი 1902 წელს სემენარიის



დმთავრებისას შეეჯახა. ის იმ დროს 22 წლის იყო. მხოლოდ თუ მოწაფე 21 წელს გადაცილებული ჯარში არ მიყავდათ, სიაში მაინც სწერდენ და კენჭის უყრიდენ, კენჭმა კი არზაყანი არ გაანთავისუფლა კენჭის ყრამდის მას უფლება ჰქონდა შეეტანა განცხადება, რომ იგი სწავლის დასრულებისა მოიხდიდა სამხედრო ბეგარას როგორც ეგრედ—წოდებული „თვით შესული.

ეს იყო პრივილეგია საშუალო განათლება მიღებულთათვის. ისინი მსახურობდნენ მხოლოდ ერთ წელიწადს, არ იყვნენ ვალდებულნი ყაზარმაში ეცხოვრათ და თავისუფლავნი იყვნენ სამსახურის საათების შემდეგ. არზაყანმა არ იცოდა, რომ ის ამ უფლებას ჰკარგავდა თუ ამ განცხადებას კენჭის ყრამდის არ შეიტანდა. ამიტომ „თვით შესულთა“ პრივილეგიებს მოკლებული, მას ყაზარმაში უნდა ეცხოვრა ორი თუ სამი წელიწადი. ეს კი ძველი რუსეთის პირობებში იყო ცოცხლის სამარეში შესვლა. ორი წელიწადი მოანდომა არზაყანმა ამ საშინელ პერსპექტივისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას, და მიზანს მხოლო 1904 წელს მიაღწია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წელს მიიღო მან როგორც სემინარია დამთავრებულმა უნივერსიტეტში შესვლის უფლება.

აქ კი ფატალური როლი ითამაშა მისდა საუბედუროთ და მის წინააღმდეგ, თვით მისმა საუკეთესო ღირსებამ: იგი აღრე შეიქნა სრულიად მწიფე და დამუშავებული პიროვნება. სემინარიის მეხუთე კლასში იყო არზაყანი, როცა მე იგი პირველად გავიცანი. დამაინტერესა კი მე მან შემდეგ იმისა, რაც მოვისმინე მის შესახებ ქება ერთი ადამიანისაგან, როელიც ქებაში მეტის - მეტად ძუნწი იყო. ეს იყო ერთი ქართველი მწიგნობარი, ადამიანი მეტად ამპარტავანი, რომელიც მოწაფეს, ვითარცა უმწიფარ პიროვნებას, ზეიდან დასცეკეროდა. არზაყანი ნამდვილი ჯენტლემენია, უთხრა ერთს ჩემს ნათესავს, და ამას იგი ამბობდა. სემინარიის მე 5 კლასის მოწაფეზე. დახასიათება იყო სავსებით სწორი. შემდეგ იმისა, როცა არზაყანი ვითარცა საშუალო სწავლა დამთავრებული ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, ის არავის არ შეაწუხებდა, არა ყოფილა სტიპენდიისა ან რამე დახმარების მთხოვნელი. თანაც მის წინაშე წამოიჭრა რთული ოჯახური ამოცანები. ის აღიზარდა ვითარცა ობოლი და არც მარტო იყო, მას ყავდა ძმა, მის სწავლის დამთავრებისას უკვე დავაუკაცებული, რომელიც მაშასადამე სხვის საზრუნავი არ იყო, საკმარისად ენერგიული და ჭკვიანი პიროვნება. მაგრამ მას ყავდა, ორი და, საჭირო იყო მთელი ოჯახის თავმოყრა და საკუთარი კერის დაარსება. ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა არზაყანს, როგორც ყველაზედ უფროსს და განათლებულს. არზაყანი არ იყო ეგოისტი, რომ გამოჰკიდებოდა პირად ამბიციებს და გაქცეოდა საოჯახო საქმეს. აქ, მე უნდა აღვნიშნო ერთი ბედნიერი გარემოება, რომელიც იშვიათად ელიტსება ობლებს აბხაზეთში, საღაც მორალი ძალზე იყო შესუსტებული; ნათესავებს; რომელთაც მოუხდათ უდროოთ დაობლებული არზაყანისა და მისი და - ძმებისთვის მზრუნველობა, იშვიათი პატიოსნებით აღჭურვილი ადამიანები იყვნენ, და სრულიად შეუმცირებლად შეუნახეს არზაყანს ადამიანები იყვნენ, და სრულიად შეუმცირებლად შეუნახეს არზაყანს ადამიანებს მათზე მემკვიდრეობით გადასული ქონება. თუმცა და მის ძმა - დებს მათზე მემკვიდრეობით გადასული ქონება. თუმცა არზაყანს საღი შეგნება არ აკლდა, მაგრამ ეს თვისება ჩვენში უსწავლელებში უფროა განვითარებული, ვინემ სწავლულებში და ამიტომ

ეს თვისება მის უმცროს ძმა ივა ემუხვარში კიდევ უფრო იყო განვითარებული. ივა ემუხვარი ხედავდა, თუ რა სწრაფად იზრდებოდა სამურზაყანოში არზაყანის პოპულარობა და გრძნობდა, რომ ეს პოპულარობაა მს მძიმე პასუხისებლობას უმზადებდა. ჩაიბარეს რა ძმებმა მეკვიდრეობა, მათ გაყიდეს ხელსაყრელ ფასში ტყე. აქ ივა ემუხვარმა მიიტანა იერიში თავის უფროს და განათლებულ ძმა არზაყანზე და მისცა წინადადება, რომ ტყის გაყიდვისაგან აღებული ფული ძას მოეხმარა უნივერსიტეტში შესვლისა და დამთავრებისათვის. ივა კი თვითონ კისრულობდა სავსებით ოჯახზე მზრუნველობას.

არზაყანმა ეს მსხვერპლი არ მიიღო. ამნაირად იმ ნიჭის და უნარს, დინჯათ, უანგაროთ, უამბიციოთ პატრიოტული საქმის გაძლოლისა, რომელიც მან სემინარიაში მოწაფეობისას გამოიჩინა და რომელიც, აკადემიურ სწავლა განათლებაში გატარებული, მა შესაძლებლობას მისცემდა ღიღის მაშტაბით მოღვაწეობისათვის, სამურზაყანოს ერთ ყველაზედ უფრო ჭაობიან სოფელ შეშელეთში ახრჩობდა, სადაც მას ბოუხდა თავის კერის შექმნა. არზაყანი თვითონ კმაყოფილი იყო. რატომ? მას ქონდა აღამიანისათვის უძვირფასესი თვისება, რომელსაც ევროპაში მორალურ წონასწორობას უწოდებენ. ის არ იყო თვისი ვნებათა ლელვის მონა, ის არ ისახავდა ფართო მიზნებს, ე. ი. მიზნებს, რომელიც მის საშუალებას აღემატებოდა. ის კმაყოფილდებოდა პატარა, სოფლის მოღვაწის როლით. არ გაივლიდა დღე, რომ ის ამა თუ იმ სახით ვისმესთვის სასარგებლო არ ყოფილიყო. თუ რამდენად გართული იყო არზაყანი სხვების სამსახურში, ამას მოწმობს ერთი მაგალითი მის ცხოვრებიდან: იგი ერთ დღეს ცხენით ვიღაც ერთი გლეხის ქორწილიდან დაქანცული სახლში ბრუნდებოდა. გზაზე იგი გააჩერა ერთმა გლეხმა და არ მოეშვა სანამ არ ჩამოიყვანა ცხენიდან და არ დააწერინა „შავი“ მომრიგებელ მოსამართლის დაუსწრებელი განაჩენის პასუხად. არემარეში არავითარი მოსახლეობა არ იყო, არზაყანი იძულებული იყო ქალალდი თავის ხელზე დაედო და ისე დაეწერა. ხალხის მოყვარული, სათონ ინტელიგენტის როლი აფხაზეთში წამებაა, ისარანოდეს მოსვენებული არ არის.

თუ აკადემიური სწავლის უქონლობა მისი ნაკლი იყო, სამაგიეროთ მის ლირსებას წარმოადგენდა ის მრავალ მხრივი კონტაქტი ცხოვრების პრაქტიკასთან, რომელიც მას, როგორც სოფლის მოღვაწს ჰქონდა. ეს აძლევდა მას ზოგიერთ ტექნიკურ ხასიათის ცოდნას, ურომლისოთ სახელმწიფო პოსტზე ადვილად შეიძლება აღამიანი სასაცილო გახდეს და თანამშრომლებში და ხელქვეითებში ავტორიტეტი დაკარგოს. ასე დაემართა მათ, ვინც წარსულში პროფესიონალური უურნალისტისა და რევოლუციონური მოღვაწეობით კმაყოფილდებოდენ.

თუ როგორი იყო მეთოდი არზაყანის მუშაობის იმ ფრიად საპასუხისმგებლო პოსტზე, რომელიც მას მოახვიეს თავზე, ხოლო ის კი მუდამ მზა იყო რომ თავისზე უფრო ლირსეულისათვის დაეთმო თუ ასეთი ვინმე გამოჩნდებოდა, საამისოთ მე მოვიყვან ერთ მაგალითს, მხოლოდ ანალოგიისათვის. მოვიყვან თანაც ერთმაგალითს მასზე უფრო განათლებულ, უფრო ნიჭიერ და უფრო მაღალ პოსტზე მყოფთა პრაქტიკიდან. სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელ კრებისამ შეიმუშავა კანონ—პროექტი, რომლითაც საქართვე-



ლოში უქმდებოდა ინსტიტუტი მამა - პაპეულ - უძრავ ქონების გა-
მოსყიდვისა. მხოლოთ თანახმათ პროექტისა უქმდებოდა არა მარტო
ინსტიტუტი, არამედ ამ ინსტიტუტის ნიადაგზე მოპოვებული უფლე-
ბანი, ე. ი. კანონს უკან მომქმედი, რეტროაქტიული, უკან შემობრუ-
ნებული, ძალა ენიჭებოდა და სოციალდემოკრატიული ფრაქცია ამ
შემთხვევაში მართალი იყო: მამაპაპეული მიწის გასყიდვა, საქართვე-
ლოში გამოსყიდვა კი არ იყო, არამედ კონფისკაცია, მტაცებლობა.

(გაგრძელება იქნება)

ვლ. ემუხვარი


საერთაშორისო გდგომარეობა და ჩართული საკითხები

ორი ათეული წლის საერთაშორისო სოციალურ — პოლიტიკურ გა-
რთულების განვითარებამ, კაცობრიობა დღეს დაყო სამ ნაწილად: ტოტა-
ლიზმი, დემოკრატიზმი, კომუნიზმი.* პირველი ორი ფლობს ცენტრალურ
ევროპას და წყნარ ოკეანეს გადაღმა მდებარე ქვეყნებს (ამერიკის შეერთე-
ბული შტატები). უკანასკნელი ჩრდილოეთის მხარეს, რომელიც უდრის
1/6. ნაწ. დედამიწის. ცენტრალურ ევროპის ერთი პირველთაგანი — ტო-
ტალური ქვეყანა, დაყოფილი უფლებრივად, ტერიტორიალურად და სოცი-
ალურად, ვერსალის ხელშეკრულებით, მიუხედავად ამ ხელშეკრულების
გამარჯვებულ ავტორების მიერ შექმნილი მეტად მძიმე ატმოსფერისა,
დღეს ფეხზე წარმოსდგა. მრავალ წლის განმავლობაში, ის გულ-ჩახვეული
მოთმინებით და მომავლის იმედებით აღსავსე, ენერგიულად მუშაობდა
თავისი ეროვნული ძალების გასაცოცხლებლად. ეროვნული იდეა და სახე-
ლმწიფოებრივი აღორძინების იმედების ფორმა, მან თვით თავის ერში
ჰპოვა. ამ ერის მეობის ახალი ხელმძღვანელი, ღრმად ჩასწვდა თავის
ტანჯული ხალხის სულის კვეთებას.

მან შთაგერა მას მომავალ იმედებს და აღდგენის უკვდავი სული.
შეუქმნა დედა ბოძი, ძირი, დასაყრდნობი სახელმწიფოებრივ მოძრაობას
(ნაციონალური ორგანიზაციები), და მით მოიპოვა ნიადაგი ნდობის, აზრო-
ვნების და მოქმედების — რითაც აიხსნება, თუ გნებავთ ის მოვლებაც, რომ
ის ხალხს მოევლინა პაციფიური საშუალებით, უიარაღოთ და უსისხლოთ
და თავისი ქვეყანა ევროპის კონტინენტზე დიდ მძლავრ ქვეყნად აქცია.

დაიბრუნა რა ყველათერი, რაც წაართვა მას ვერსალმა: ტერიტორია,
პოლიტიკური უფლებები და სოციალური მდგომარეობა, დღეს ის დაუ-
პირდაპირდა საერთაშორისო კომუნიზმს და მით მის ცენტრალურ ბუდეს -
წითელ მოსკოვს. დემოკრატიული ქვეყნები, მეტად დაშინებული ამ
მოვლენით, დღეს მის წინაღმდეგ ირაზმებიან. ამოძრავებულია მთელი
სასიცოცხლო ძალები, ყოველგვარი სახელმწიფო აპარატები, რომ თუ
სულ მოსპობა არა, მის დღევანდელ ძალის დონეზე მაინც შეაჩერონ
ამ ქვეყნის ზრდა და გავლენა. ჩვენ აქ ვსვამთ წერტილს და არ შეუდ-

*რედაქცია ფიქრობს, რომ დღევანდელი დაყოფვა კულტურული ერების
და სახელმწიფოების სამ „იდეოლოგიად“ სწორი არ არის. დღეს არსებობს
მხოლოდ ორნაირი დანაწილება: ტოტალური და დემოკრატიული, ხოლო ამ
უკანასკნელს სწორედ კომუნიზმი მეტაურობს. რედ.



გებით არსებითად, ამის შესახებ, საერთაშორისო ხასიათის ფაქტების ანალიზს.

მხოლოდ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიულ ქვეყნებმა თავის რიგებში ჩაიყენეს წითელი რუსეთიც. საკვირველია, სად დემოკრატია ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით და სად წითელი დიქტატურა? ჩემის ღრმა ნწმენით, ეს უფრო გაართულებს და გაამწვავებს დღევანდელი ევროპის ქვეყნების ურთი ერთ დამოკიდულებას, ვიდრე ხელს შეუწყობდეს საერთო მშვიდობიანობას. თანამედროვე უნივერსალურ გართულებულ პირობებში, ჩვენ ვიცით რას ფიქრობენ ტოტალიტარული — თუ დემოკრატიული ქვეყნების ერები? ვიცით ამ ქვეყნების პოლიტიკური პარტიების პოზიცია, ე. ი. ის, რომ თვითეული მათგანი ამ საერთო გასაჭირში ივიწყებს შინაურ უთანხმოებას და პარტიულ დოქტრინებს. თავიანთ მეობის პრესტიუს და გამოდის თავისი ქვეყნის საერთო ინტერესებიდან.

რას ფიქრობს ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება? — მისი სურვილი და ცდა არის, ომის ცეცხლი გაჩაღდეს ცენტრალურ ევროპაში და ამ სამხედრო პროცესის დროს, გადისროლოს ლოზუნგი მესამე ინტერნაციონალის, მეათე კონგრესზე მიღებული რეზოლიუციის განსახორციელებლად, ე. ი. — შეეცადოს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მოხდენას. მიაღწიეს თუ არა მიზანს, ეს მისი ფანტაზიის საქმეა, მხოლოდ ჩვენთვის საჭიროა აღვნიშნოთ მისი ასეთი განზრახვები.

რას ფიქრობს საქართველო და ევროპაში ქართული პოლიტიკური ემიგრაცია? — პირველის აზრის გაგება ამ საერთაშორისო გართულებულ მდგომარეობის შესახებ მეტად ძნელია, რადგან დიდი ხანია, რაც დავშორდით ჩვენ ქვეყანას. ადვილია მხოლოდ გაგება უკანასკნელის, თუ რას ფიქრობს და როგორ იქცევა იგი? 18 წელში განვლო მას შემდეგ, რაც მოსკოვის ჯარებმა დაიპყრეს ამიერ კავკასიის ერები. ჩაკლეს მათში დამოუკიდებელი არსებობა და ტყვედ აიყვანეს როგოც პოლიტიკურად, ისე სოციალურად, მორალურად და რელიგიურად. 18 წლის მანძილზე, ქართველი ხალხი საერთაშორისო დემოკრატიის საშვალებით ეძიებდა ამ უცხო ურდოებისაგან თავის დაღწევას.

მაგრამ ყველამ იცის შედეგი ასეთ „მუშაობის,“ რანაირი უნიადაგო აღმოჩნდა ეროვნულ განთავისუფლების ასეთი ცდა. არ არის სახალისო ამ უდავო და ყველასათვის ცნობილი ფაქტების განმეორება. ისიც საკმარისია თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ — ცენტრალური ევროპის პატარა ერების გუშინდელ ბედს, რომლებიც დაყრდობილნი იყვნენ დემოკრატიაზე და მათ საერთაშორისო ორგანიზაცია — ხალხთა ლიგაზე. ეს თვალსაჩინო ფაქტი სანიმუშო გაკვეთილად უნდა მიიღოს საქართველომ და ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციამ, რომ ხიშტებზე დაყრდობილ მტერს ძალა უნდა დაუპირდაპირდეს და არა პლატონიური საშვალებანი. სად არის ეს ძალა? — ამისთვის საჭიროა შორს მჭვრეტელობა, დაკვირვება, შესწავლა და გაგება საერთაშორისო მდგომარეობის და აქიდან გამომდინარე რეალურ მოვლენების.

მხოლოდ მაშინ გახდება ადვილად გასაგები ჩვენთვის, რომ ეს ძალა მოიპოვება იმ ძლიერ სახელმწიფოების ხელში, რომლებიც ეპრძვიან -ბოლშევიზმს და რომლის დანგრევა ამ დაყრდობილი პატარა ერების განთავისუფლებაც იქნება. სხვა რეალური პოლიტიკა დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში არ არსებობს. ფიქრობდა, ან შეეცადა თუ არა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და მისი ხელმძღვანელობა, დაახლოვებოდა ასეთ



რეალურ მოვლენას? — ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ვიცით მხოლოთ ერთი რამ, ეს შეიგნო მხოლოდ ქართული ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, გააბა მასთან იდეური ქსელი და ამ ნიადაგზე მუშაობს. მაგრამ როგორ შეხვდა მას ემიგრაციის ფართე ქართული მასა? — წყევლა-კრულვით, საპროტესტო მიტინგებით და რეზოლუციებით, სხვადასხვა სენსაციური ხმების გავრცელებით და ტარიელ მკლავაძეს მეთოდებით! რატომ, რისთვის? — მიზეზი დღემდის არ არის დამტკიცებულ-დასაბუთებული, როგორც პოლიტიკურად ისე იურიდიულად. აქიდან თავისთავად იბადება კითხვა: რას ნიშნავს ბრძოლა იმ ქართველთა წინაღმდეგ. რომლებიც მჭიდრო იდეურ კავშირში არიან ამ მოვლენასთან, ფიქრობენ ბოლშევიზმის დანგრევაზედ და აქიდან თავის ქვეყნის განთავისუფლებას? — რასაკვირველია ასეთი ბრძოლა უნებლიერ ამაგრებს წითლების დამპყრობელ პოლიტიკას და მიმართულია მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ. ლოლიკას თავისი კანონები აქვს და სხვანაირი დასკვნის გაკეთება აქედან შეუძლებელია.

ხოლო თუ ასეთი „ბრძოლით“ ვინმე პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს, ჯერ კიდევ საკითხავია თუ როდის და ვინ ვის წინაშე აგებს პასუხს?! ამიტომ ჯერ კიდევ დროა თავის შეკავების, ნამოქმედარის გადასინჯვის, შეგნების და შეთვისების, როგორც პოლიტიკურად ისე პსიხოლოგიურად იმ აზრის, რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ ქართველები ვართ და ვფიქრობთ ჩვენს ქვეყანაზედ, ე. ი. მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევა ყველა კულტურული ერი. ნუ გავიხდით რელიგიად პიროვნულ პრესტიუს, პირად მეობას, პირად ამბიციებს ნუ შევწირავთ საერთო საქმეს და მით ხელს ნუ შეუშლით იმას, ვინც დაახლოვებულია და მუშაობს ამ რეალურ მოვლენასთან. ვისურვებთ, რომ ეს ასეც მოხდება!...

წამებული


პ რ ე ს ა

ბ. აკაკი ჩხენკელის გასაჭირი.

„დამოუკიდებელ საქართველოს“ ამა წლის მარტის ნომერში, ბ-აკაკი ჩხენკელი, თავის გაზეთში და საკუთარის ხელით დაწერილ სტატიაში, ასეთ რეკლამას უკეთებს თავის თავს. იგი სწერს:

„მათ ხომ კარგად იციან, რომ პიროვნებას, რომელსაც ისინი ტალახში სვრიან, სწორედ ძალიან რთული საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდა საიმპერიო მთავრობასთან საქართველოს სახელით.“ ო.

სტილი დიპლომატიურია. სიტყვებს ახსნა უნდა: „მათ“ — „კავკასიონები“ ვართ. „პიროვნება“ — ვინ უნდა იყოს თუ არა „თვით“ ბ. აკაკი ჩხენკელი. „ტალახში სვრიან“ — ნიშნავს, რომ ჩვენ ბ. ჩხენკელზედ ერთხელ კიდევ ვსთქვით ის, რაც მრავალჯერ გვითქვამს. არ გვესმის მხოლოდ რას ნიშნავს სიტყვა — „სწორედ“? „საიმპერიო მთავრობა“ — ცოტა ძნელი გასაგებია, რადგან იმპერია ხმელეთზედ რამდენიმეა. მაგრამ ჯანდაბას ჩვენი თავი, რაც მოგვივა — მოგვივა, ვთქვათ რომ ესეც — გერმა-



ნიაა! ხოლო რას ნიშნავს „საქმიანი მოლაპარაკება“ — ამას გოლოს ვიტყვით.

გ. ჩხენკელი თვით არის გაზეოის რედაქტორი. სწერს თავის გაზეთის ყოველ ნომერში, სწერს როგორც საქმის, ისე ქართული ენის დიდი უფიციობით, შემდეგ ძალიან ხშირად სწერს „სწორედ“ (გ. ჩხენკელის „სწორეც“ ეტყობა ეს უნდა იყოს!) ჩვენს წინააღმდეგ და რა დანაშაულია, რომ ჩვენცა ვწერდეთ გ. ჩხენკელზედ?! მაგრამ გ. ჩხენკელი ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ წერა „საქართველოს ინტერესების“ ლალატია, რადგან იგი საქართველოს ელჩია. ჩვენი პასუხი ამაზედ მოკლეა. არათრის ელჩი გ. ჩხენკელი დღეს აღარ არის, ხოლო ელჩიც რომ იყო, მაშინაც მისი მთავარი საქმე იყო — ქართველ ვაჟების მდიდარ ამერიკელ ქალებზედ გათხოვება და ზოგის ქორწილში შაფერობა, ზოგის — „მამობა.“ ჩვენ ეს დავგმეთ თავის დროზედ და დღეს ამის ჯავრს ყრილობს ჩვენზედ გ. ჩხენკელი.

ტყუილად ჰგონია გ. ჩხენკელს, თითქოს ჩვენ „კარგად ვიცით,“ რომ ის „საიმპერიო მთავრობას“ ელაპარაკებოდა. არც ისეთი გულ უბრიყვილონი ვართ რომ გ. ჩხენკელის ყველა ტრაბახი დავიჯეროთ. მით უმეტეს, არც ეს „ლაპარაკი“ გვქონია სახეში, როცა გ. ჩხენკელის ყოვლად უფერულ „პიროვნებაზედ“ ორიოდე სიტყვით დავიხარჯენით. მიზეზი იყო გ. ჩხენკელის ის ყოვლად უტაქტო და მავნე საქციელი, როცა მან კაუცის ქვრივს, „ქართველი ერის“ სახელით სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა და საზოგადოთ მენშევიკებმა კაუცის და ვანდერველდეს „ეროვნული“ პანაშვიდები უხადეს.

ხოლო რაც ჩვენ გ. ჩხენკელზედ ვიცით, ის სულ უბრალო ამბავია და ქართულ ეროვნულ საქმესთან საერთო არაფერი აქვს. გ. ჩხენკელზედ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მას სურდა გერმანიაში თავის „წარმომადგენელად“ ერთი თავისი ნათესავი დაენიშნა და როგორც იტყვიან ასეთ შემთხვევაში, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. გ. ჩხენკელის „საქმიანი მოლაპარაკება“ ეს არის. რა აქვს ამას საერთო ქართულ საქმესთან, ეხლა თვით მკითხველმა გასაჯოს. ვისი რა ბრალი უნდა იყოს, რომ გ. ჩხენკელს, იმპერიაში“ გავლენა არა ჰქონია! ან რატომ უნდა აესრულებინა „იმპერიას“ გ. ჩხენკელის სურვილი, როცა ის აკეთებდა არა საზოგადო, არამედ თავის კერძო საოჯახო საქმეს?! მაგრა ჩვენ აქაც კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ჩვენ გ. ჩხენკელის ამ „მარცხშიაც“ არაფერ შუაში ვართ. ყველაფერი ღვთის ნებაა!.. აი, გ. ჩხერკელის ანჩხლობის მთელი მიზეზი, ანუ მენშევიკების მოლვაწეობის კიდევ ერთი თავი, იმედია ეხლა კი უკანასკნელი, რომლის ეპიგრამად ჩინებული იქნებოდა შოთას: გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა!

ხოლო რაც შეეხება გ. ჩხენკელის დანარჩენ მუსაითს, თითქოს ვიღაცა „კავკაზუს“ პროფესორს ეს „მოლაპარაკება“ კარში გამოემზეუროს, რომ ამის გამო მას „სათანადო ადგილას“ სახელი გასტეხოდეს და გ. ჩხენკელის „შენიშვნაზედ“ პასუხის გაცემაც ვერ გაებედოს, ჩვენ გაწიწმატებულს და მართლა მთლად გაჩხენკელებულ ავტორს, ყოველივე ეს ისე აბდა - უბდად აქვს ნათქვამი, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა -- გაგვეგო ან მიმხდარვიყავით თუ ვიზედ და რაზედ ლაპარაკობს ჩვენი მენშევიკი ავტორი -- ვერაფერი გავაწყეთ. დეე, ინუგეშონ თავი გ. გ. ჩხენკელებმა იმ ლეგენდებით, რომლებსაც მათი დაავადებული და მოშლილი ფანტაზია სთხზავს, დეე, უცადონ, როდის დაიღუპებიან ყველა არა მენშევიკი ქართველები, როდის გაუტყდებათ მათ „სათანადო ადგილას“ სახელი და



როდის დაიჭერს ერთხელ კიდევ მათი თხა მგელს. იმედი, ბატონებო, იშედი! „საცა არის გათენდება, მუშა, მუშა — შენ!“

„კაი წიგნი“

ასე უწოდა ერთმა მენშევიკმა რეცენზიენტმა პ. ურატაძის წიგნს, ამ ბოლო დროს ემიგრაციაში გამოსულს და, ეტყობა, უკვე მოწონებულს მენევიკურ ფარაში.

კაი ცხენი, კაი უნაგირი, კაი სუფრა, კაი ბიჭი, კაი გოგო-ყველაფერი ეს სწორი, ხალხური და, თუ გნებავთ, კოხტა ქართულია. მაგრამ ითქმის თუ არა ასე წიგნის შესახებ, კმაყოფილი დარჩება ამით წიგნის აუტორიც — ეს გვევეჭვება. „კაის“ თქმა „კარგის“ მავიერ იმ დროს, როცა ლაპარაკი წიგნზედ არის, ხოლო პ. ურატაძე, როგორც იყო, „დიდ“ მენშევიკურ ლიტერატურაში გაძვრა, იმას ჰგავს, რომ ჯოხის ცხენი აჩუქო კაცს, რომელიც სწორეთ ეხლა ფიქრობს, რომ ერთი კარგი და ნამდვილი ცხენი მოიპაროს. თუმცა. . . ეს ჩვენი საქმე არ არის და მენშევიკებმა თავისი გასაგები ენა თითონ უკეთ იციან.

„კაი წიგნის“ წამკითხველები არასოდეს არ დაივიწყებენ, რა ეპიკური კილოთი ათავებს ავტორი თავის თხუზულებას. რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ რამდენი გრძნობა და უფრო კი რამდენი ფაქტი და მოქმედებაა გადმოცემული - რაღაც ათ პწყარში. მოგვყავს მხოლოდ იმათვის, ვისაც პ. ურატაძის წიგნი თვით არ წაუკითხია და იქნება არც არასოდეს არ წაიკითხოს.


„17 მარტს ბათუმის ქალაქის თვითმართველობაში შესდგა დამფურების უკანასკნელი სხდომა, რომელმაც მოახდინა მთავრობის რეორგანიზაცია, განსაზღვრა მისი რიცხვი ოთხით (!), დაავალა მათ უცხოეთში გამგზავრება და იქ მუშაობა სამშობლოს გასანთავისუფლებლად წითელი ოკუპანტებისაგან. ამავე დღეს, სალამოს, საქართველოს კანონიერი მთავრობა გემზედ გადავიდა და უცხოეთში გაემგზავრა. შესწყდა საქართველოს რესპუბლიკის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. დაიხურა მისი ისტორიის მძიმე და ტრალიზმით სავსე ფურცელი. დაიწყო ქართველი ხალხის წამება . . .“

დიახ! მაგრამ არა პ. ურატაძისთვის. ბათუმში, პ.ურატაძე არსად სჩანდა. არსად სჩანდა იგი ტფილისშიც, როცა მენშევიკური პარტიის დანარჩენი წევრები ბათუმიდგან ტფილისში დაბრუნდნენ.

დაუყოვნებლივ ტფილისში დაიწყო პარტიის წინასწარი კრებები, რომ შემდეგ პირტიის საერთო ყრილობა მოეწყოთ. ამ კრებებზედ მიღებული იყო შემდეგი რეზოლუცია: საქ. ს-დ. პარტიას მიაჩნია, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც დაიცყრა რუსეთმა. პარტია ამას შეებრძოლება ლეგალურის (!) გზით და მიაჩნია აგრეთვე, რომ საქართველოს ერთად-ერთი ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს.

არჩეულ იქმნა დელეგაცია — ს. ჯიბლაძის, ს. დევდარიანის, კ. ანდრონიკაშვილის, ა. ჭიაბრიშვილის და ვლ. ჯიბლაძისაგან შემდგარი, რომელმაც ეს რეზოლუცია ფ. მახარაძეს მიუტანა.

ფ. მახარაძე ფრიად გაოცებული დარჩა მენშევიკების რეზოლუციის ასეთი შინაარსით და უთხრა დელეგაციას: მე სხვანაირად მქონდა საქმე წარმოდგენილი. გუშინ ჩემთან იყო გრ. ურატაძე, რომელმაც განმიცხადა პარტიის სახელით, რომ პარტია შეთანხმების გზას დაადგა და მზად არის



ხელისუფლება ბოლშევკ — მენშევიკების შორის იყოს განაწილებული - რ. თქვენი რეზოლუცია კი სულ სხვას ამბობს! საშინელი წუთი ჩამოდგა. ს. ჯიბლაძემ არ იცოდა რა ექნა. მან აღელვენულმა განუცხადა მახარაძეს:

გრ. ურატაძე არა — მკითხე უზურპატორია. პარტიას მისთვის არა-თერი დაუვალებია. პარტიის შეხედულება გამოთქმულია ამ რეზოლუციაში, რომლის აქ მოტანა ამ დელეგაციასა აქვს დავალებული და ესევე უნდა წარედგინოს პარტიის იმ ყრილობას, რომლის მოწვევა ათი აპრილისთვის არის განზრახულიო.

ბ. ურატაძის ასეთი საქციელით მთელი პარტია იყო აღშფოთებული და მას ბოიკოტიც კი გამოეცხადა. შემდეგ ბ. ურატაძე ორი დღით მიყვანილი იყო მეტეხში, მაგრამ ამხანაგები არც იქ სცემდნენ ხმას. ამის შემბეგ ბ. ურატაძე, ბოლშევიკების ნება-რთვით, საზღვარ-გარეთ წამოვიდა. აი, ასეთი ადამიანი ბრძანდება „კაი წიგნის“ ავტორი. ეხლა თამამად შეგვიძლიან, რომ მის წიგნს უწოდოთ არა მარტო „კაი წიგნი,“ არამედ „კაი კაცის — კაი წიგნი.“ ასე უფრო სრული იქნება!

რა მოხდა ჩეხო-სლოვაკიაში?

წერილი ჩეხიდან

„კავკასიის“ უკანასკნელ ნომერში მოგახსენეთ, რომ ჩეხიასა და სლოვაკიის მშენებლობით მუშაობის დისონანს შეიძლება მოყოლოდა არა ერთი უთანხმოება. ეს უთანხმოებანი წინადაც არსებობდა მაგრამ რესპუბლიკის მთავრობა და პრესაც ამ ამბავს ფარავდა. მაგრამ ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო და, მართლაც, უთანხმოება დამთავრდა კატასტროფით მთელ სახელმწიფოსათვის. სხვა კულტურულ თუ ზნეობრივ პირობებში შესაძლებელი იყო ამ კატასტროფის არამც თუ თავიდან აცილება, მეტიც, ე.ი. სახელმწიფოს უფრო გაჯანსაღება დაგანმტკიცება. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ამის მიზეზი იგივე ეროვნული გაორჟოფება და მერყეობაა, რაც წინა წერილში აღინიშნა.

მეტი არ იქნება ახლავე ალვნიშნო, თუ როგორ პრიმიტიულადა ხსნის მასონური აზრი ამ კატასტროფას. თურმე, ნუ იტყვით, ყველაფერი მომხდარა პიტლერის მოხერხებული დიპლომატიის წყალობთ. თურმე პიტლერს შთაუგონებია მეორე რესპუბლიკის მთავრობა, არავითარი ეროვნული, მით უმეტეს ფაშისტური გეზი არ აიღოთ, ნურც სოციალურ პოლიტიკას აწარმოებთ, ურიებს, მასონებს და მრქსისტებს მოეფერეთ, ამავე დროს განაგრძეთ დიდმბურობელობითი პოლიტიკა სლოვაკიასა და კარპ. უკრაინის მიმართ. ამით დიდი დემოკრატების ნდობა-სიყვარულს დაიმსახურებთ და ისინი სესხის სახით, ოქტომბერი აგავსებენო. პოლიტიკურად სპეტაკი და უმანკო ბერანის მთავრობა თურმე ამ ანკესზე წამოეგო. ახლა დახედეთ ამ დემონიურ გეგმას, თურმე ამავე დროს სლოვაკელებს წასჩურჩულებდნენ, ხომ ხედავთ ჩეხია არათერს გითმობთ ძველებურად თქვენზე



ბატონობს, არ დანებდეთ, მაგრად იყავით, გამოეთიშეთ რესპუბლიკას და მფარველობას გაგიწევთო. ეს ბავშვური განმარტება თავისი მართლა გაიძვერული შინაარსით დამახასიათებელია ავტორთათვის ამის გარდა, ფიურერს ჰქონია თურმე საშინელი ნაკლი. ის არ ყოფილა მოდერნული იესო ქრისტე, მისი ვალდებულება ყოფილა არა დაცემულ დაგაყვლეფილ გერმანიის ერის ფეხზე წამოყენება და განთავისუფლება, არამედ აუცილებლად განთავისუფლება ყველა ჩაგრულ ერებისა და ესეც ცოტაა, ის ვალდებული ყოფილა თურმე წმინდა ქრისტიანულის თავმდაბლობით მეორე ყბა შეუშვიროს იმ პატარა ერს, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით შექრილია შუა-გულ გერმანიაში და ოცი წლის განმავლობაში იმავე მასონთა შთაგონებით უაღრეს ანტივერმანულ პოლიტიკას აწარმოებდა. და სხვის მიერ წაქეზებული წარამარა გაიძახოდა: ჩვენ ვართ ავანგარდი სლავიანებისა, რომელიც სალი კლდესავით აყუდებულა და აკავებს გერმანელთა ექსპანსიასო და სხვა. . .

ფიურერის განცხადება, რომ მას არ უნდა არავითარი ჩეხები, მტკნარი სიცრუე იყო, ვინაიდან მან მიიღო რა პროტექტორატი ჩეხიაზე, უარპყო თავისი რასიზმიო.

სინანდვილეში კი ვითარების მიუდგომელი გამარტება შემდეგია: ორი მეზობელი, მოძმე ერი (ჩეხია და სლოვაკია) 20 წლის საერთო სახელმწიფოებრივ ფარგლებში ყოფნამ ერთმანეთს გადაამტერა და რაც მეორე რესპუბლიკას თავს დაატყდა- ეს არის შედეგი პირველ რესპუბლიკის უვარვისი პოლიტიკისა და რესპუბლიკის მერყეობისა. ერი იმდენად შთანთქა და გაიტაცა ლიბერალურმა ფილოსოფიამ, მისი მატერიალისტური მანტალიტე ისე კოხტად მოთავსდა ლიბერალიზმის კალაპოტში, რომ მას გამოეპარა ის დიდი და დიადი გარდა- ტეხა კულტურულ კაცობრიობაში, რომელიც კაი ხანია გრგვინავს დედამიწაზე და ლამის წალეკოს ყველა ამ მხრივ მოუმზადებელი და ჩამორჩენილი ერი. ათასგვარ ულტრა-პროგრესისტულ იდიოლო- გიებით გაბრუებულმა ერმა, სამწუხაროდ თავის დროზე ვერ გამოჰყო სათანადოთ მოზრდილი კადრი ეროვნულ იდეოლოგიით აღვწნებულ ახალგაზრდობისა. რად მოხდა ასე? განა ჩეხიის ერი არ არის სათანადო კულტურულ დონეზე? თავისი ნიჭით, მუყაითობით, შრომის მოყვა- რეობით თუ განათლებით განა ის ჩამოუვარდება რომელიმე სხვა დაწინაურებულ ერს? — სრულებითაც არა. არ არის არც ერთი სფერო კულტურის თუ მეცნიერების დარგში, სადაც ჩეხებს არა ჰყავდეთ სათანადოთ გამოჩენილი და საერთაშორისოდ ცნობილი მოლვაწე თუ მეცნიერი. მხოლოდ პოლიტიკურ დარგში ხვდა ერს ეს მძიმე და მწარე ხვედრი, როგორც შედეგი უმზადისობისა.

ერი გახდა მსხვერპლი გადაჭარბებული პოლიტიზაციისა და ისიც იმ უარყოფითი მნიშვნელობით, რაიც თანა სდევს დღევანდელ ლიბერალიზმს. აქ იყო 28 სხვა და სხვა ოფიციალურად ცნობილი პოლიტიკური პარტია. მე მხედველობაში არ ვლებულობ ათასგვარ პოლიტი- კურ ჯგუფს, რომელთა აღმოცენება და დაშლა პირდაპირ დაკავში- რებული იყო რომელიმე პოლიტიკურ ავანტიურისთვის (რა თქმა უნდა ფულიანი კაცის) პირად ინტერესებთან. თუ ძველი რუსეთის ირონიული თქმულებით აღამიანი შესდგებოდა სხეულისა, სულისა

და პასპორტისაგან, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აქაური მოქალაქე შესდგებოდა სხეულისა, ფულისა და პოლიტიკურ ლეგიტიმიცი-ისაგან. ვისაც ეს უკანასკნელი არ გააჩნდა, მისი საქმე წინდაწინ დალუ-პული იყო. შრომის მოყვარეობა, ნიჭი, კვალიფიკაცია თუ პატიო-სნება ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთად ვერ შეედრებოდენ რომ-ელიმე ძლიერი პარტიის პოლიტიკურ მფარველობას. უანგარო პო-ლტიტიკოსს აქ სულელადა სთვლიდნენ. ერის ჯან-სალ ნაწილში ამ მდგომარეობამ შეჰქმნა ისეთი სულიერი განწყობილება, რომელიც საზოგადოთ ცინიკურად უცქერის ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს. და მართლაც განა მოსალოდნელია ხალხის თვალში პატივისცემის მოპოება, თუ თვით პოლიტ. მეთაურები არ არიან ლირსნი ამისა? ეს გარემოება მეტად სგულისხმიეროა ჩვენთვის, განსაკუთრებით ქართვ. ემიგრაციისათვის.

ამ ათი წლის-წინად აქ მივიღეთ ბ-ნ ალ.ასათიანის წიგნი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“. რა რწმენით და გატაცებით ვყლაპავდით თვითეულ სიტყვას ამ იგნში; ჩვენს გულში, ჩვენს წმინდათა-წმინდ-აში ჩაისახა მისი ავტორი. რა ჩაიდინა მის შემდეგ ამ ჩვენ მიერ „გალმ-ერთებულმა“ პოლიტიკ. მოღვაწემ? — საკუთარის ხელით თავზე გადაგვახია თავისივე წიგნი, მის მიერ დამსხვრეულ კერპის მონა და ლაქია გახდა და ჩვენ შეგვარცხვინა. მოდით და მის აქეთ მოგვთხოვეთ პატივის ცემა საერთოდ პოლიტიკისა და კერძოთ პოლიტ. მოღვაწი-სადმი. ჩეხიაში ამნაირი „ასათიანიზმი“ პირდაპირ კულტად იყო გადაქცეული; ამას აღვნიშნავ, თუნდაც ბ-ნმა ასათიანმა ეს გარ-ემოება თავის საბოლოიშოდაც გამოიყენოს.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალიზმი თავის დღევ-ანდელ სტადიაშია გახრწნილების მატარებელია და სწორედ მან შებოჭა ჩეხიის ეროვნული შესაძლებლობანი პოლიტიკურ დარგში. და როდესაც თვით ცხოვრებამ ერი ახალ პოლიტიკურ მცნებასთან ყურით მიათრია მან — „დიდი და ღრმა პოლიტიკური მოსაზრებით“ ფაშისტური მასკარადი გაითამაშა.

აქაურმა დიდმა მრეწველმა და სახელოვანმა მოღვაწემ, ბ-ნ ბატ-აიმ. რომელმაც საკუთარ წარმოებაში კაპიტალიზმის ფუნქციონალ-ური დანიშნულება პრაქტიკულად უკვე განახორციელა, სხვათა შორის შემოილო შემდეგი დევიზი: „ჩვენი მუშტარი, ჩვენი ბატონია“. ეს ვაჭრობა-მრეწველობაში სასურველი და საქები დევიზია, მაგრამ პოლიტიკურ-კულტურულ — დარგში მიუღებელი, სწორედ ამ უკან-ანასკნელ დარგში შეიჭრა. აქაური უდიდესი გამომცემლობის დიდი ტრესტი, სახელდობრ მელანტრიზი“, რომელიც ბეჭდავს ხუთ ყოვე-ლდლიურ გაზეთს და ამდენსავე ყოველ-კვირეულ უურნალს, სწორედ ამავე დევიზით ხელმძღვანელობდა. იგი შეადგენდა სახალხო სოცია-ლისტურ პარტიის საკუთრებას. (ეს პარტია იყო ბენეშის საკუთარი პარტია, მის მიერ პირდაპირ ფულით ნაყიდი.) თქვენ შეგეძლოთ იქ მიგეტანათ ორი ერთი მეორის უარისმყოფელი წერილი; ორივეს დაგ-დაგიბეჭდავდნენ თუ სათანადო ფულს გაიღებდით. მორიგე მოხელე ღიმილით მიგიღებდა: — „თქვენი წერილი ანტისემი-ტურია? მაღლობის ღირსი ბრძანდებით, სწორ აქტუალურია, კეთილ ინებეთ და აგერ, მარჯვნივ, პირველ კარებში შეიტანეთ“. . . . „თქვენი



წერილი ურიებს ესარჩელება?, დიდათ სასიამოვნოა, გთხოვთ მარცხნით შეუხვიოთ და მესამე კარებში შეიტანოთ“. ეს წერილი ფაშისტურია? კეთილი და პატიოსანი, გთხოვთ სართულით მაღლა აბრძანდეთ“. . . მარქსისტულია?, მაშ სართულით დაბლა, ბატონი, იქ გახლავთ მარქ-სისტული განყოფილება. . . — როგორც ხედავთ მუშტარს აფასე-ბდნენ.**) ეს ვაჭრული სულისკვეთება შეიჭრა ყოველ დარგში აღამი-ანთა ურთიერთობისა და ყველაზე უფრო მოიკიდა ფეხი პოლიტიკაში. მაგალითისთვის საკმარისია ავლნიშნო, რომ ზემოხსენებულ სახალხო სოციალისტურ პარტიის იდიოლოგმა და დამაარსებელმა ბ-ნ კლოფ აჩმა მიიღო საკუთარი პარტიის კასიდან პარტიისავე დადგენილებით 300 ათასი კრონა, ომის დროს ორ წელიწადს ციხეში ჯდომისთვის ზარალის ასანაზლაურებლად. სწორეთ ამ ნიაღაგზე მასონებმა სკადეს ფაშიზმის მოგერიება შუა ევროპაში და ისიც ჩეხო-სლოვაკიის ხარჯზე. ამ უცხო ზეგავლენას უნდა მიეწეროს, რომ მეორე რესპუბ-ლიკის პრემიერმა ბ-ნ ბერანმა ხუთი თვის განმავლობაში ითამაშა ფაშისტური „კერენსკის“ როლი, „რეჩები“ და ათასგვარი ფაშისტ-ური ლოზუნგების წამოსროლაში ჰიტლერს და მუსოლინისაც გადაა-კარბა, საქმით კი არაფერი გაკეთდა და არც გაკეთების სურვილი იყო ვინაიდან მას მოჰყვებოდა ლონდონის სიტის მიერ სესხის გაუღებ-ლობა, ეს კი ნიშნავდა ზარალს, რომლის დაშვება „სამარცხვინო სისულელის“ ჩადენა იქნებოდა. სესხის მოსალოდნელ გაუღებლობით დაშინებულებმა ვერ შეამჩნიეს რეალურად მოსალოდნელი უფრო მეტი საშიშროება ე.ი. სახელმწიფოს დარღვევა. როდესაც ბ-ნმა ბერანმა თავისი პროგრამული სიტყვა დაამთავრა, ძველ, ანუ უკედ, ორ პარტიულ პარლამენტის წინაშე, ყველა მიხვდა, რომ მისი ფაში სტური ჭექა-ჭუხილი ვერავითარ წვიმას ვერ მოიყვანდა. ებრაელებმა და მასონ-მარქსისტებმა დამშვიდებით ამოისუნთქეს, ინგლისმაც არ დააყოვნა და უმაღ 16 მილიარდი კრონა სესხად გაიღო. ნახევარი ე.ი. 8 მილიარდი იყო წმინდა სესხი, ხოლო დანარჩენი 8 მილიარ. „აჩუქეს“ ჩეხებს იმ პირობით, რომ მთელი ეს თანხა მხოლოდ ებრაელთაათვის მოეხმარებინათ. ესეც უცნაური საჩუქარი!

ბერანმა ეს „საჩუქარი“ სრულიად დაიმსახურა. თუ თვითონ არა, მისმა ახლობელებმა არა ერთხელ განაცხადეს საჯაროდ: — გარ-ეგნულად ფაშისტურ პოლიტიკას ვაკეთებთ, ნანდვილად-კი ჩვენ ჩვენი საკუთარი ჭკუა გვაქსო. ოდესლაც ბისმარქს უთქვამს, „ჩეხელი გლეხის მაგარი შუბლი ძნელი ასაღები კოშკიაო“. ეს ჩეხელ-გლეხებმა კომპლიმენტად მიიღეს და ბენეშის დროს ამით არა ერთხელ უსარგ-ებლიათ გერმანელებთან პოლიტიკაში. (თვით ბერანი გლეხია, ამ უამაღ დიდი მემამულე.) აქაური ფაშისტების აზრით, უცხო გავლენა რო არ ყოფილიყო, ბერანი მაინც იმავე გზას დაადგებოდა, ვინაიდან ეს ძველ პარტიათა ლიდერები უკანასკნელ 20 წელში გადიდ-ყველა ეს ძველ პარტიათა ლიდერები უნდა შევიმუშაოთ, რომ ყველას მოეწონოს . . .

**) გეგონებათ ალ.ასათიანის მოხსენება-წერილებიდან გაღმოუ-წერიათ: „ლიბერალიზმიც კარგია, სოციალიზმიც კარგა, ფაშიზმიც . . . ასეთი პლატფორმა უნდა შევიმუშაოთ, რომ ყველას მოეწონოს . . .“

პუნქტი კი მოითხოვს-უცბად გამდიდრებულ პოლიტიკურ მეთაურთა ქონების შეძენის მთავარ რევიზიას. ამიტომაც მთავრობამ ნანდვილი იდეური ფაშისტები გარიყა და დატუქსა, მათი პრესა აღკრძალა, ორგანიზაციები დაშალა და თვითონ დაიწყო „ფაშისტობა“. დემოკრატი, მაგრამ არა სოციალისტი ბენეშის მოწინააღმდეგე და ანტიმარქსისტის ბერანის „გაფაშისტება“ და ამ გვარად დამოუკიდებელ სახელმწიფოში პრემიერად გახდომა ქართველ ემიგრანტს სრულიად არ გაუკვირდება, ვინაიდან ის მოწამეა უფრო მეტი აბრუნდის, მასა ჰყავს საკუთარი ქართული ბერანი, მარქსისტი, მესამე ინტერნაციონალის თანამგზავრი და ბენეშის მოტრფიალე, რომელიც მხოლოდ პრემიერობის ოცნებით გატაცებული უკვე „ფაშისტობს“. რა შესაძარებელია ჩეხური ბერანი ქართულთან!

თუ ბერანის პროგრამულ გამოსვლამ დაფეთებული მარქსისტ-მასონები დაამშვიდა, ნაციონალისტები მიხვდნენ, რომ ეს არა მკითხე მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა. აქედან იწყება თვით მმართველ პარტიაში განხეთქილება. ეროვნულ ერთობის ახალგაზრდათა პარტია იხრება უფრო მარჯვნივ და ებრძვის თავისივე პარტიის ნამდვილ მმართველ ნაწილს ე.ი. უფროსთა პარტიას. ბერანი იყო ორივესი თავმჯდომარე, პირველის საპატიო, მეორესი ოფიციალური. ახალგაზრდათა დიდ მიტინგზე ფაშისტებმა გაიმარჯვეს, მათი მოთხოვნები კრებამ დიდის ტაშის ცემით მიიღო. მოითხოვდნენ ხელისუფლებაში ახალგაზრდათა დაკავშირებას, საქმიანობას, მასონ-მინისტრების მთავრობიდან გაძევებას და სხ. მეორეთ მოწყობილ მიტინგზე ბერანმა ახალგაზრდობა აქო და აშოშმინა, მას კულტურულ-ორგანიზაციული დარგი მიუჩნია, უფროსებს, როგორც გამოცდილებს პოლიტიკური დარგი დაუტოვა, ერთი სიტყვით, თქვენ წისქვილში წაბრძანდით, ჩვენ ქორწილში წავეთრევითო. მესამე მიტინგს გასაკვირი ამბავი დაემართა: მმართველ პარტიის მიტინგი, მმართველ პარტიისავე შთაგონებით, პოლიციამ აღკრძალა. ჩვენში რომ ასეთი რამ მოხდეს, იქაურობას მილეწ-მოლეწავენ, ჩეხთა ახალგაზრდობა-კი, როგორც უფრო დინჯი, გონიერი, დისციპლინის და ანგარიშის ხალხი, წყნარად დაიშალა. სამაგიეროდ დაიწყო ათასნაირი სისინი: ძველი კომედია გრძელდება, ბერანს ნანდვილი ფაშიზმის ეშინია, ან, — ჩვენ არათრად ვარგივართ, დევ მოვიდეს ჰიტლერი და მან გააკეთოს „პორუადეკიო“ (წეს-რიგი), ან და, — მათთვის (ე. ი. მთავრობის-თვის) ჰიტლერი უფრო მისაღებია ვინემ ჩეხური ფაშიზმი, რადგანაც ჰიტლერისთვის ბოლოს სულ ერთია რომელია ჩვენში ქურდი და რომელი გაქურდულიო (აქ უნებლიერ მახსენდება ურატაძის განცხადება: ჩვენ, ფაშისტურ საქართველოს-რუსული საქართველო გვირჩევნია!). ამავე დროს ბენეშის ხალხსაც არ ეძინა: ინგლისი, რუსეთი და ამერიკაც უკვე გარკვეულ გზას დაადგნენ, ხომ ხედავთ როგორიარალდებიან, მალე წარბებს შეიკრავენ და ვაი დიქტატორებს, ბენეშიც მალე დაბრუნდება და სუდეტსაც დავიბრუნებთო და სხვა . . . ასეთი სულიერი განწყობილება იყო ბოლო დროს ჩეხიაში. ამის შემყურე ავტონომიური სლოვაკია, რომელიც თავიდანვე გარკვეულ ფაშისტურ გზას დაადგა, ეჭვებმა შეიპყრო. მან წამოაყენა გარკვეული მოთხოვნილებანი. ამის შესახებ არავითარი ცნობები არ გამოუქვენე-



ნებიათ, მხოლოდ ოფიციალური ცნობები იუწყებოდნენ, რომ აგერ რამოდენიმე დღეა, რაც მოლაპარაკება სწარმოებს მთავრობასა და სლოვაკთა შორის დიდ და სერიოზულ საკითხებზე, მაგრამ მთავრობის პრესის ზოგიერთ პოლიტიკურ წერილებიდანა სჩანდა, რომ სლოვაკია მოითხოვდა საკუთარ პოლიციას და ჯარის ნაწილებს, მოითხოვდა აგრეთვე სესხს შინაური აღმშენებლობის დასაწყებად. საგულისხმიეროა თუ რას სწერდა მთავრობის ოფიციოზი სესხის შესახებ. — თქვენ კაპიტალი დააფრთხეთ, სლოვაკიიდან გარდის

(უნდა აღვნიშნო, რომ სლოვაკიაში იყო ურიულ-ჩეხური კაპიტალი.) ვერავითარი ხელისუფლების ჩარევით ამ საკითხს ვერ გამოასწორებთ, კაპიტალს სჭირია სრული ინდივიდიალური თავისუფლება, გონიერ მოდით და საქმე თავის თავად გამოსწორდება.

სჩანდა, რომ პრაგა მოითხოვდა ისევ ლიბერალურ კაპიტალიზმის აღდგენა-ბატონობას სლოვაკიაში. მას შემდეგ გაზეთებიდან გავიგეთ, რომ სლოვაკთა დელეგაცია ორი მათი მინისტრის მეთაურობით გერმანიაში ჩავიდა, ინახულა მთელი რიგი იქაური ოფიციალური პირებისო. შესაძლებელია, სლოვაკიამ პრაგის მიერ უარყოფილი სესხი ბერლინსა სთხოვა. ამაში გვარწმუნებს ის საქციელი, რომელიც ბერანის მთავრობამ ჩაიდინა და რომელსაც მოჰყვა სახელმწიფოს კატასტროფა.

ჯერ კიდევ სლოვაკიის მინისტრების ბერლინში ყოფნის დროს აქ აათამაშეს ჩეხური იმპერიალისტური ჰანგები: რა უფლება აქვთ სლოვაკიის მინისტრებს ჩვენდა დაუკითხავად უცხოეთში იარონ?, თავი აიშვეს, დროა ასეთ უწესოებას ბოლო მოელოსო და სხვა.

რამდენიმე დღით ამაზე წინ მოხდა ერთი სიმპტომატიური მოვლენა. პრაგამ გადააყენა კარპ. უკრაინის შინ. საქ. მინისტრი ბ-ნი რევაი, მას დააბრალეს მეტი ინიციატორობა, გადაქარბებული უკრაინელობა, უკრაინელ ემიგრანტთა სამახურში მიღება და მფარველობა. მის ადგილზე პრაგიდან დაინიშნა და გაიგზავნა ჩეხი-გენერალი დაისიც რუსოფილი.

10 მარტს დილის 7 საათზე გაკვირვებულ მოქალაქეებს რადიო-აპარატმა აცნობა ბრატისლავის (სლოვაკიის დედაქალაქი) რადიო-სადგურიდან: სლოვაკიის მინისტრთა თავმჯდომარე მღვდელი დოქტისო და მთელი რიგი მინისტრებისა (მათ შორის გერმანიაში ნამყოფი ორივე მინისტრი) გადაყენებულია. მთელ ქალაქში ამის გამო დიდი აღტაცებაა, წესიერება არსად არ დარღვეულა, სლოვაკიის „ლუდოვა გარდა“ (სახალხო გვარდია) ერთგულებას გვეფიცება. (ბოლიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ლუდოვა გარდას“ არაფერი საერთო არა აქვს ჩვენ სახალხო გვარდიასთან. ის ეროვნული სულით გაულენთილი, დისციპლინით აღჭურვილი და ქრისტიანულ მორალზე აშენებული მართლაც სახალხო რაზმია. მისი წევრები საყელოზე ატარებენ სლოვაკიის ორ-ჯვარედინის ჯვარს. ეს ჯვარი სლოვაკიისთვის ისეთივე ეროვნული განძია, როგორც ჩვენთვის ვაზის ჯვარი.) ახალი მთავრობა უკვე დაინიშნა, სლოვაკიის ავტონომიას არავითარი საფრთხე არ მოელის, გაუმარჯოს ერთგულ ჩეხო-სლოვაკიასო და სხვა. ამას მოჰყვა ჩეხო-სლოვაკიის ჰიმნიც. ამავე დროს დილის გაზეთებში გვაცნობეს, ბ-ნი ბერანი ისე შეუსვენამად გადამდინარებად და მომდინარეობად გადამდინარეობად.




ებლივ მუშაობს, რომ წუხელ მთელი ლამე არ უძინია. 14 მარტისთვის დანიშნული პირველი საქმიანი სხდომა ახლად არჩეულ სლოვაკიის სეიმისა, პრეზიდენტის განკარგულებით 28 მარტისთვის, — გადაიდო. პრაგის „ობჩანებმა“ (მოქალაქე) ეს ცნობა დიდის კმაყოფილებით მიიღეს. ზოგმა ყოფილი მოქალაქე გადაიდო. ის გარემოება, რომ მერე დღეს პრაგამ ახლად დანიშნული სლოვაკიის მინისტრთა სია შესცვალა და ზოგი სხვა პირი დანიშნა, მაჩვენებელი იყო იმისა, რომ სლოვაკიაში ყველაფერი ისე რიგზე არ მიდის, როგორც პრაგა იუწყებოდა. სხვათა შორის მთავრობამ გამოაცხადა, რომ გერმანიის თვალსაზრისით სლოვაკიის ამბები წმინდა შინაური ჩვენი საკითხი და გერმანის ეს სრულებით არ აინტერესებს. ჩეხის სამრავალუამიერო პატრიოტებმა ყავახანაში ზეიმობაც დაიწყეს, ჩეხია დიდ ერთა სიაში მოათავსეს, რომლის მისია არის პატარა-ჩამორჩენილ ერებს უპატრონისო და სხვა . . . ერთი სიტყვით, ბერანმა ისე დემაგოგიურად აათამაშა გულუბრიყვილო და გრძნობიერ პატრიოტთა წმინდათა-წმინდა, როგორც უორდანიამ „კავკასიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

მესამე დღეს ვენიდან იფეთქა „ყუმბარამ“. ვენის რადიო სადგურიდან, სლოვაკიიდან გაქცეულ პატრიოტებმა დაიწყეს სლოვაკურად ლაპარაკი.

სლოვაკელები იუწყებოდნენ, რომ პრაგამ ძალმომრეობა ჩაიდინა, ტისო და სხვა ბევრნი დაკავებულნი არიან. ჩეხიიდან ლამე ფარულად გადმოსხმულ ჯარმა და პოლიციამ რადიო სადგური და ყველა სახელ. შენობები დაიკავეს, ნაწილი სახალხო გვარდიისა განაიარალეს, მათ მკლავზე ჯვრები ააგლიჯეს, 19 კაცი მოკლულია, დღეის იქით ჩვენი ერთობა შეუძლებელია და სხვა . . . ამასთანავე ყველა სლოვაკელებს და გვარდიელებს მოუწოდებთ ეროვნული დისტიპლინა არ დაარღვიონ და მზად იყვნენ ყოველ წუთში სათანადო ბრძანების თანახმად საერთო მოქმედებისთვის; უკან დახევა შეუძლებელია. და სხვა. ეს რადიო-მოწოდება გააკეთა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა. ამავე დღეს ვენიდან სლოვაკელებმა განაცხადეს, რომ სტყუის პრაგა, როდესაც ამბობს თითქოს გერმანიას სრულებით არ აინტერესებდეს ჩვენი საკითხი, ჰიტლერი პატარა დაჩაგრულ ერების მფარველია.

ენს უკანასკნელი განცხადება ზედმეტი იყო. სლოვაკ-ემიგრანტების დაშვება ვენის რადიო სადგურზე თავისთავად ააშკარავებდა გერმანიის პოზიციას ამ საკითხში. 13 მარტს, ჰიტლერის სურვილის თანახმად, ძალად გადაყენებული და დაპატიმრებული მინ. ტისო ბერლინს გაემგზავრა ჰაეროპლანით. 14-ს დილის 8 საათზე ისევ ბრატისლავაში გაბრუნდა დასეიმი მოიწვია. ასე რომ ორი კვირით გადადებული სეიმის სხდომა თავს დროზე გაიხსნა. დაახლოვებით შუა დღის 12 საათზე სეიმმა გამოაცხადა სლოვაკიის სრული დამუკიდებლობა. ამით ავტომატიურად გაირიყა კარ. უკრაინა. ამავე დღის 4 საათზე ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტი დ-რი ჰახა, საგარეო მინისტრის თანხლებით სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ბერლინს.

არავინ არ იცოდა მიზანი ამ გამგზავრებისა, მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა, რომ პრეზიდენტმა ფიურერ ჰიტლერის მაღალ



ხელისუფლებას ჩააბარა დარჩენილი ნაწილი (მისი დედაბოძი) მომუნიკაციისა ჩეხია და მისი პროვინცია მორავას სვე-ბელი. 15 მარტს, დილას პრაგაში შემოვიდნენ გერმანიის ჯარის ნაწილები.

პრაგა ამ დღეს ძალზედ აწრიალებული იყო. მასონები, კომუნისტები და ემიგრანტი ურიები უთავბოლოდ დარბოლნენ. ბევრი ბუხ-რიდან შავი კვამლი ამოვარდა: საჩქაროდ იწვებოდა ლენინ-სტალინის სურათები, დოკუმენტები, წიგნები და სხ. წინა დღეს, უკვე დამოუკიდებელ ფაშისტურ სლოვაკიიდან ურია-სპეკულიანტები და მარქსისტთა მეთაურები საჩქაროდ გამოქცეულან პრაგისაკენ.

აქ ამ ახალ მოდის ემიგრანტებს გერმანიის ჯარის კაცები ლი-მილით მიეგებნენ. ბელი ემიგრანტები, ერთი მათგანიც არამც-თუ ჩეკს სარდაფუში არ უწამებიათ, არც დაუჭერიათ.

პრეზიდენტ ჰახას, როგორც უკვე პროტექტორის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს უმაღლეს წარმომაღენელს, სადგურზე დახვდა სათანადო პატივით, პატაკით და მუზიკით არა ჩეხის, არამედ გერმანიის ჯარის ნაწილები. ამის აღწერა ყოველი პატარა ერის შვილისთვის დიდათ მძიმე და მწარე ხვედრია, მაგრამ ვინც აქაურობაში ახლო გაცნობილია, ვინც იცის თუ როგორ ეპყრობოდა თვითონ ჩეხია მაზე პატარა და სუსტ სლოვაკიას, მისთვის ჩეხის სუვერენობის დაკარგვა და სლოვაკიის აღდგენა-დამნაშავის დასჯას და უდანაშაულოდ დსჯილის განთავისუფლებას ნიშნავს.

სწრაფად მისდევდნენ ერთი მეორეს ახალ-ახალი სენაციები. 16 მარტს მოხდა კიდევ ერთი ამბავი, მოულოდნელი და დაუჯერებელი. პრაგაში, ამ მთელ ევროპიდან თავმოყრილ ურია-ემიგრანტთა, მასონთა და კომუნისთა ბუდეში, არხეინად ჩამობრძანდა თვით ჰიტლერი. მან აქ გამოსცა ცნობილი საპროტექტორო 13 მუხლი, რომლითაც ჩეხიას გაცილებით მეტი უფლებები მიანიჭა, ვინემ ჩეხია აძლევდა სლოვაკიას, ამ თავის მოძმე ერს, რომელსაც მის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძლოდა.

ასე ჩეხო-სლოვაკიის დარღვევა, სლოვაკიის განთავისუფლება და ჩეხის სუვერენობის შეკვეცა გერმანიის მორალური გამარჯვებაა. ვერავითარი მასონური ყალთაბანდობა ვერ უარჲყოფს იმ ფაქტს, რომ დაჩაგრული ერი განთავისუფლდა და საქმე მხოლოდ დამჩავვრელმა წააგო. და ეს „წაგებაც“ არ მომხდარა ძალდატანებით, არამედ თვით ჩეხის მთავრობის დაპრეზიდენტის თხოვნის თანახმად.

ჰიტლერის ჩამოსვლის დღეს აქ მოხდა ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხო ქვეყნის ძალა-უფლება (მით უმეტეს ახლად შემოსული) პირველ ყოვლისა ეყყრდნობა დამორჩილებულ ერის უვარების, ანტიეროვნულ და მოღალატე ნაწილს, ამავე დროს სდევნის ეროვნულად განწყობილ, პატრიოტულ ნაწილს. ეს თითქოს ბუნებრივია. ასე იქცევა საბჭოთა რუსეთი. აქ კი მოხდა სრულიად წინააღმდეგი რამ. ჰიტლერის ჩამოსვლისას ციხიდან გაანთავისუფლეს ექვსასამდის ერის საუკეთესო პატრიოტი, იდეური ფაშისტები და ნეო-სლავიანები, რომელთაც გერმანოფილობას ვერ დასწამებთ. ამავე დროს ყოველი ანტი-ეროვნული ელემენტები შიშით შესცემერიან თავიაანთ მომავალს.

პრაგა, 22 მარტი 1939.

3. ჩოჩია.

პრიტიკა და გიგანტიოზია.

ნ. უორდანია: „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება.“ პარიზი 1937
ანჩინი: „სახელმწიფო დაერი“ პარიზი 1938 წ.

1938 წ. მენშევიკური „ლიტერატურა“, რომელსაც ჩვენ შევეხეთ ერთ-ერთ წინა ნომერში (გოგიბერიძე, ლეისპირელი, ჩუბინიძე) — დაგვირგვინდა უფრო „მაღალი სტილის“ — ბ-ნ ანჩინის ბროშურით: „სახელმწიფო და ერი“. ამ უჩინ-მაჩინის შინაარსი, — ადამიანს შეეძლო ეფიქტია, — რითიმე მაინც გაუსწრობდა ჩუბინიძეებისა და ლეისპირელების სიღატაკეს, ვინაიდან ავტორი უკვე მოხუცებული, „პოლიტიკაში“, „რუსულ დუმებში და „დიპლომატიურ მუშაობაში გამოცდილი“ ადამიანია. მაგრამ, ეტყობა, მენშევიკური „სკოლა“ — კუს ავადმყოფობასავით ედება ადამიანის სულიერ და გონიერივ ორგანიზმს, და პროგრესს აკეთებს თვით ამ ორგანიზმის ხარჯზედ.

და რომ ეს ცარიელ სიტყვად არ ჩამოგვერთვას, ვიდრე უჩინ-მაჩინის განვიხილავდეთ საჭიროა გავეცნოთ თვით ამ „სკოლის“ შემქმნელის, ბ-ნ უორდანის აზროვნებას, რაღაც ტყუილად ხომ არ აშბობენ: თევზი — თავიდგანაო. . .

საქართველოს პორიზონტზედ ბ-ნი ნ. უორდანია ნახევარ საუკუნის წინად გამოჩნდა და სახელდობრ 1894 წელს უურნალ „მოამბეში“ მოათავსა წერილი: „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, როდესაც, გატაცებულს მაშინდელი მატერიალისტური „მეცნიერებით“, მარჯვენა თვალი დახუჭული ჰქონდა და ყველაფერი მარტო მარცხენათი ელანდებოდა, — როგორც ეროვნული, სოციალური, ისტორიული, პოლიტიკური და ყოველნაირი ცხოვრება.

მაგრამ ამ „ახალგაზრდულ გატაცებაზედ“ ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა, მთელი ნახევარი საუკუნე ასეთივე ცალთვალა მატერიალი-სტად არ დარჩენილიყო, იგივე „იდეები“ არ ექადაგნა და დღესაც, პარიზში, არ გამოექვეყნებინა სწორედ იგივე საწყალი წერილი, უკვე, ბროშურად და ფრიად დამახასიათებელი წინასიტყვაობით, რომ ეს გამოწვეულია არა „არქეოლოგიური მოტივებით“, „წარსულის ცოდნის წყურვილით, არამედ საამდროვო საკითხებადაცაა გამოცხადებული და თანამედროვე პრობლემაც“ არისო. და დღესაც, ბ-ნი უორდანია ადგია იმავე არქეოლოგიურ გზას, რომელსაც ადგა 1894 წელს; ვერაფერი შეუმჩნევია ქვეყნის ტრიალისა, მეცნიერების, მეცნიერების პროგრესის და თავისი საკუთარი გამოცდილებითაც — არქეოლოგიურ მდგომარეობაში დარჩენილა.

და რა ისეთ უკვდავ ჭეშმარიტებასა სწერდა მაშინ, რომ დღესაც ვერ გასცილებია ამ დახავნებულ შეხედულობათ? თურმე გვარ-ტომობას, ენას, საერთო ისტორიას, ტრადიციას — თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ერის შექმნაში. მთავარი ძალები, ერის შემქმნელ- შემაკავშირებელი არიან — „ომი, ბუნების ძალა და აღებ მიცემობა“ (გვ. 15). ამაღვანაც პირველ ორს ნაკლები მნიშვნელობა აქვს და მთავარი და უპირველესი ყოფილა აღებ-მიცემობა, ანუ ვაჭრობა. ამას ამტკიცებს „ისტორიული“ მაგალითებითაც. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის, რაღაც ასეთ მიმოხილვას საზოგადოთ

ისტორიისას (?) მოსდევს კერძოდ საქართველოს ისტორიაზედ და ქართველ ერზედ გადატანა ამავე ყალბი დებულებისა და ყალბი დასკვნებისა. თურმე „რა აქვთ საერთო, მაგ., სვანს და აჭარელს, სამურზაყანოელს და კახელს, ჭანელს და მთიულს, გურულს და ხევსურს? ესენი განა გრძნობენ თვის თავს ერთ ერად? ამათ აღელვებთ საერთო ინტერესები საერთო ჭირი და ლხინი? საქართველოს ნაწილები გრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას“ . . . „ეროვნობას შეგნება ჰქონის“ - ამბობს პროფ. კარევი გვ. 21 და „სწორედ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს.“

გეოგრაფიულად — „საქართველო წარმოადგენს საკვირველ სხვა და სხვაობას. მას ლიხის მთა ჰყოფს ორ დიდ ნაწილად: ამერეთად და იმერეთად. . .

ამნაირად ერთი ერი ბუნებამ გჰყო ორად*) და ცხოვრებას მიეცა ორი ბუნებრივი კალაპოტი. . .“ ეს ორი დიდი ნაწილიც დანაწილებულია კუთხეებად, რომელთაც საერთო ორათერი აქვთ — ეკონომიკურად.

მოჰყავს საინტერესო ცნობები გლეხისა, აზნაურისა, თავადისა და მეფის ცხოვრების ერთნაირი პირობებისა (გვ. 23) საერთოდ საქართველოში და კერძოდ, თუ როგორ ცხოვრობდნენ, მაგ., დადიანები რიონზედ, თევზაობის დროს, ოდიშში — ნადირობის დროს და ლეჩეუმში — პურის საჭმელად, ლომის მაგიერ (გვ. 24) . . . და ყველათერი ეს, — დაიხსომეთ, — ეხება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყის (დუბროვინით და ლიტვინოვით). ასევე ყოფილა საქართველოს სხვა კუთხეებში 30—40 წლის წინად და მეჩვიდმეტე საუკუნეში ხომ იმერეთსა და ამერეთს შორის ხეირიანი გზაც არა ყოფილა. (ანტონ ფურცელაძით) და სხვა კუთხეებში ხომ მეცხრამეტე საუკუნეშიაც. . . მარტო ქვეითად და ცხენით თუ შეიძლებოდა სიარული. . . ციციანოვს რომ არ გაეუვანა გზა სურამსა და ქუთაისს შუა.

პოლიტიკურად. რაკი საქართველოს ნაწილები ეკონომიკურად განკერძოვებულნი იყვნენ, პოლიტიკურადაც — დანაწილებისაკენა ჰქონდათ მიღრეკილებათ. ამიტომ შეიქმნა ფეოდალიზმი. ევროპაში ეს ფეოდალიზმი მოსპო ბურუუაზიამ, რაღაც ამერიკის აღმოჩენამ გააძლიერა ვაჭრობა, გაამდიდრა ქალაქები და პოლიტიკურ ბრძოლაში მან დასჯაბნა ფეოდალობა. (ამერიკის აღმოჩენა ეროვნულ საკითხში-სწორედ ეს არის!) და საქართველოში ბურუუაზია ვერ გაჩნდა, ამიტომ „ჩვენში სხვანაირად დატრიალდა ისტორიის ჩარხი. საქართველოს ამოხდა სული. „ე. ი. გაიმარჯვა და დმკვიდრდა ფეოდალიზმი და ბოლო მოელო ქართველთ ერთობას.“

ეს საოცარი აბდა-უბდაა: როგორ შეიძლება „ამოხდეს სული“ იმას. რაც არ არსებობდა? ან როგორ შეიძლება „ბოლო მოელოს ერთობას,“ რომელიც (უორდანით) არც ყოფილა თურმე (როდისმე)*).

*) რაღაც „ქართლის ცხოვრების“ თქმით (უორდანის გაგებით): საქართველო ფეოდალური იყო ქ. წ. მესამე საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე ქ. შ. და როდისდა არ უშლიდა ფეოდალობა ერთობას?

*) თუ ქართველი ერი არ არსებულა, ბუნებას აღბად სხვა რაღაცა გაუყვია, რაღაც გაყოფა არ არსებულისა ლოლიკითაც კი შეუძლებელია. რ. გ.

ვერც დავით ალმაშენებელს და ვერც თამარს მოუსპიათ ეს
დანაწილება, — რადგან, მაგალითი მოჰყავს: „თამარ მეფის ქმარი
გიორგი თავისი უშვერი ყოფაქცევის გამო, განდევნილ იქმნა საქა-
რთველოდან. იგი წავიდა სტამბოლს; (სიკ!) გამოსთხოვა ჯარი
ბერძენთ მეფეს და შემოვიდა საქართველოში, თამარის და მისი
სამეფოს ძალით დასამორჩილებლად. მაშინ თითქმის მთელი დასა-
ვლეთი საქართველო: იმერეთი, სვანეთი, კლარჯეთი (სიკ!), სამეგრ-
ელო ტაოს კარი (სიკ!) და სხ. გადაუდგა თამარს და მიემხრო გიორგის.
(იხ. ისტორია გრუზიი; ბარატოვ, 4—5 რვ) (65 გვ.).
„ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ქართველობა წარმოადგენდა
არა მთელ ერს, არამედ რამდენსამე დანაწილებულ ჯგუფს. . .

მიდრეკილება დანაწილებისადმი ისეთი ძლიერი იყო რომ
თვით ეგრე წოდებულმა (?) ოქროს საუკუნემაც კი ვერ შეაყენა და
რამდენადმე მაინც ვერ შეასუსტა. მართალია, დავით ალმაშენებლის
და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით
სტკბებოდა, საერთო ისტორიულ ულელს სწევდა, მტერს ერთად მტ-
რობას უწევდა და მოყვარეს მოყვრობას, მაგრამ სუსელა ეს დრო-
ებითი, წარმავალი იყო.*) ეს არ იყო შედეგი და დასკვნა ერის
ეკონომიური განვითარებისა . . . ო“

შემდეგ მჰყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი — დასავლეთ
საქართველოს არევ-დარევა მტრობიდან მეფე — მთავარ-ხელქვეი-
თთა შორის და დაასკვნის, რომ საზოგადოთ, ლიხის მთის იქითა მხარეს
დაუსრულებელი ომები იყო მეფეთა (?) შორის, ათაბეგთა (?) და
მეფეთა შორის, მეფეთა და ერისთავთა შორის; . . . საღ არის აქ სა-
ერთო პოლიტიკური წყობილება? . . . ამნაირად ცხოვრების
ნივთიერ (?) საფუძველზე აგებულ იქმნა შესაფერი პოლიტიკური
ყოფა — მდგომარეობა. მხარე, ნივთიერად კარჩაკეტილი, განთვითო-
ებული, პოლიტიკურადაც განკერძოებული შეიქმნა — ო.“

და აი, ხდება ამის შემდეგ სასწაული: საქართველო უერთდება
რუსეთს . . . იწყება ვაჭრობა, გზების გაყვანა, იქმნება ქალაქები (?)
სავაჭრო ცენტრები (?), ბატონ-ყმობა მოისპო, ფოსტა-ტელეგრაფი
გაიბა და სხ. — საქართველო, რომელიც თურმე ერი არასოდეს არა
ყოფილა, — გახდა ერად (?) ისტორიული, ეკონომიური საფუძველი
მიეცა . . . „ფხიზლდება, სალი გონებით და მახვილი თვალით
იხედება.“ (გვ. 35.)

*) ეს „დროებითობა და წარმავალობა“ ოქროს ხანისა გაგრძე-
ლდა ორ საუკუნეზედ მეტს და ცნობილია ყოველმხრივი, ალმატებით
გზებით, განათლებით, მწერლობით, ფილოსოფიით საეკლესიო და
საერთო ლიტერატურით, სამხედრო ძლიერებით და სხ. მაშინდელ
მსოფლიოში; და ბ-ნ უორდანიას ორ ნახევარი წლის ბატონობამ,
რომელმაც საქართველო დაანგრია, არათერი არ შექმნა და მტერს
ჩაუგდო ხელში — დღესაც დიდ ეროვნულ და ერის გამაერთიანებელ
მოვლენადაა გამოცხადებული . . . „სამიდლემჩიოდ“ ბ-ნ ნ. უორდა-
ნიას პორთფელები ჩადებულია.



შემდეგ, ბ-ნ უორდანიას განვითარებული აქვს „მარქსისტული შეხედულობა ისტორიაზედ“ და ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით გლობულური საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის ხან ყალბ, ხან სწორე პატარ-პატარა სურათებს, — რისთვისაც სარგებლობს — ლიტერატურით: ეგნატე ნინოშვილი, ილია ჭავჭავაძე დასხ.

და ოცდამეთვრამეტე გვერდზე სწერს თავაღ-აზნაურსა და გლე-ხობის მდგომარეობაზედ: „ერთი მუდამ ფუფუნებაში ატარებს წუთი სოფელს, მეორე სულ მუდამ შრომა-გარჯაშია და მისი დასოკოვე-ბული (?) და ტყავ-აბძვრალი ხელის გული ცხადათ ამტკიცებს, მის მუდამ ტანჯვას და მწუხარებას —ო.“

მას დაავიწყდა, ალბად, რომ იმავე ბროშურის ოცდამესამე გვე-რდზე იგი ასეთივე „მეცნიერული“ ლოლიკით, თვისი მოკლე აზროვანი დასკვნების გასაკეთებლად სწერდა: „საღილი აზნაურისა, თავაღისა და მთავრისა არაფრით განირჩევაო. ცხოვრება იმდენად საღა იყო, რომ მთავარი ხშირად ბინავდებოდა უიატაკო ქოხში. . .

მეფე . . . ომის დროს ნაკლებად განირჩევოდა ქვეშევრდო-მთაგან: ყველასათვის საღილი და ქვეშსაგები ერთი და იგივე იყო . . .“ და ასე ავიწყდება ბევრი სხვა შეუსაბამობაც ერთმანეთთან სხვა და სხვა ფურცლებისა და ათასნაირ წინაღმდეგობაში ვარდება, არა მარტო ისტორიულ ჭეშმარიტებასთან, არამედ თვის თავთანაც.

მრავალ მაგალითს რომ არ გამოუდგეთ, ერთიც საკმარისია: ზემოყვანილ დემაგოგიური სტრიქონების შემდეგ, უკვე ორმოცდა-პირველ გვერდზედა სწერს: „მოწინავე წოდება თანდათან ლატაკდება, მამა-პაპის ნაანდერძევი გამრჯელ და მწარმოებლის ხელში იკრიბება. ამ ჟამად (1890 წლებში?) ჩვენა ვხედავთ მრავალ აზნაურს უმიწა-წყლოდ, ღვთის ანაბარად დარჩენილს.“

მერე — ხომ ყველამ ვიცით — ეს პროცესი უფრო გაძლიერდა ჩვენში და რაღაზე აშენებდა ბ-ნი უორდანია თავის ცნობილ დემაგო-გიას, რომ ფეოდალები (?) სცარცვავენ გლეხებსო და ამ „გაცარც-ვულ“ გლეხობას რაზე მოუწოდებდა — ტერორისაკენ? მაგრამ ასე მოსდის ყველა ადამიანს, რომელიც რთული ცხოვრების ყველა მოვლ-ენებს მიუდგება სადა გონებით და რომელიმე გაზეპირებული თეო-რიით, იმის მაგიერ რომ ლრმად ჩაუკვირდეს, ისტორიას, ნანდვილ მეცნიერებას და თვითონ შეისწავლოს რამე საკუთარი ერის ცხოვრე-ბიდან. აი, მაგალითად, დასახელებულ ბროშურაშიაც იმეორებბს უორდანია კ. მარქსის გაცვეთილ დებულებებს, რომ „საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა არის ნამდვილი და უტყუარი საფუძველი რომელზედაც მყარდება იურიდიული და პოლიტიკური წყობი-ლება —ო.“ და რაკი ეს მარქსისტული დებულება არ მიუდგა საქა-რთველოს, ის მუდამ სცდილობდა საქართველო „მიეყენებინა“ მარქ-სიზმისთვის ამიტომ გახდა საჭირო დემაგოგია და სიცრუე, ტერორი და ათასი სხვა.

საქართველოში არ იყო არც პროლეტარიატი, არც ბურჟუაზია — ეს საფუძვლები მარქსისტული კლასთა ბრძოლისა. ამიტომ საჭირო გახდა გაკოტრებული თავაღაზნაურობის დასახვა ფეოდალებად და გლეხების გაბოგანოვება, რომ არ არსებული კლასების და არ არსებული მათი ბრძოლაც ჩვენშიაც გაჩენილიყო . . . ხელოვნურად მაინც. თვითონ ბ-ნი უორდანია ვერ უარპყოფს იმას, რომ ჩვენში



თავადი და აზნაური თავის გლეხებთან უფრო დაახლოვებული იყო ეკონომიურადაც და ფსიქოლოგიურადაც, ვიდრე მეზობელსავე თავადთან და აზნაურთან — ესეთი იყო ჩვენი ისტორიული „ფეოდალიზმი“, ევროპიულსა და რუსულთან შედარებით — მაგრამ ამას სჭირდებოდა შესწავლა, ცოდნა, დაკვირვება, მარქსის კარაბადინში კი უკვე მზამზარეული ფორმულები იყო ყველაფრისათვის; რა ექნა უორდანიას, როცა ის ყმაღშეფიცული პროპაგანდისტი იყო ჩუსეთის სოც. დემ. პარტიისა? სმაგიეროდ, აი როცა დამოუკიდებლობაც იგემა, პრეზიდენტობაც და სხ. ტკბილი ამბებიც, — მან უკვე აქ ემიგრაციაში „ულალატა“ მარქსიზმს და ერთერთ ასეთივე უნიათო ბროშურაში დაბეჭდა: „საქართველოში ეკონომიკა უნდა იყოს ბურუაზიული და მმართველობა — სოციალისტური —ო“, თუმცა ასეთი გაგებისაგან მარქსი საფლავში გადაბრუნდებოდა ალბად*) ... რადგან წაჯე-უკუჯექა უორდანია სწერდა 1894 წ. (და დღესაც 1937 წლის გამოცემულ ბროშურაში), რომ „ქვაკუთხედს ადამიანის ცხოვრებისას ქონებრივი მდგომარეობა შეადგენს.

ქონება და უფლება — ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა. ისინი ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, რომ ვერავითარი ძალა (გარდა ბ-ნ უორდანიას სურვილისა, რასაკვირველია. რ. გ.) — ვერ დაარღვევს „... ეკონომიური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებრივი ურთიერთობისა“, — ხაზს უსვამს თვითონ ბ-ნი უორდანია. (გვ. 55) *) აქვე უნდა გავიხსენოთ უორდანიას მარქსისტული სხვა დებულებაც: „ადამიანი საცა კუჭს გაიძლობს — იმის სამშობლო იქ არისო,“ რისთვისაც მენშევიკებს „კუჭისტებს“ ეძახდნენ ჩვენში. და ამ ბროშურებშიაცა აქვს ასეთი შენიშვნა: „საზოგადოთ კუჭის საქმე უფრო ძლიერია, ვიდრე ტრადიცია“—ო; მაგრამ, დახედეთ უცნაურობასა: თვით უორდანია გაცილებით უკეთ „იძლობს კუჭს“ საზღვარგარედ, ვიდრე საქართველოში, მაგრამ სამშობლო მაინც საქართველო მიაჩნია; და არც საკუთარი თავმჯდომარეობის „ტრადიციას ივიწყებს. ბროშურის ბოლო ფურცლებზე ხომ ისეთი უცნაური „აზრია“ გამოთქმული, რომ ადამიანს ეგონება — იმავე მარქსისტულ ფილმს უკულმა ატრიალებენ ბ-ნ უორდანიასთვისაო.

მაგ., ირლანდიაში თავისუფლებისა და თვითმართველობისათვის იბრძოდნენ მაშინ, როცა ეკონომიურად გალარიბდნენ და შეძლებული ლორდები ამას ეწინაღმდეგებოდნენ; ასევე პოლონეთში „ერის გაერთიანებას თან მოსდევს უმრავლესობის ნივთიერად და სულიერად (გვ. 61) გალარიბება . . . აქედან იწყება გალარიბებული ნაწილის დაკავშირება და თვით-ცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე.“*) (გვ. 62) და გვ. სამოცდამესამეზე მოყვანილია უიულ გედის პაატრიოტული სიტყვები, რომ პატრიოტები სწორედ მუშები არიან, რომელნიცა ლვრიან სისხლსა და ოფლსა სამშობლოს მშენებლობასა და დაცვაშიო და სხ. მაშ თუ ასეთი მაგალითებიც იცით ისტორიიდან, რაღა საქართველოშ ქადაგებდით სულ უკულმა და ღარიბ ხალხს მოუწოდებდით არა სამშობლოს ინტერესების დასა-

*) ხაზი უ-სია და იხ. გვ. 28 ანჩინისა უკულმა დებულებით: გაერთიანება ნივთიერ-და არა გონებრივ-წარმატების მეოხებით.“



ცავად, სხვა „კლასებთან“ ერთად, არამედ სამშობლოს სახსენებლის წინააღმდეგაც და მამული შვილებთან სასტიკ ბრძოლისაკენ, ტერორისაკენ? როცა ჩვენი თავად-აზნაურობა, კი არ ეწინააღმდეგებოდა, — როგორც მდიდარი ლორდები ირლანდიაში, — ეროვნულ თავისუფლებასა და ავტონომიას, არამედ მოითხოვდა. როცა სწორედ ქართველი თავად-აზნაურობა აწარმოებდა იმ საბანკო პოლიტიკას რუსების წინააღმდეგ, რომელსაც, თქვენი მოწონებით, აწარმოებდნენ პოლონელები ბისმარკის წინააღმდეგ? როდესაც უიულ გედი სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა ხალხს და მუშებს?

ჩვენი, — ნაციონალისტებისა და მენშევიკების — დავაც ხომ მუდამ ამაში იყო, რომ სხვაგან თქვენ პროგრესა ხელავდით ასეთ მოვლენებში და ჩვენში სწორედ ამ პროგრესის წინააღმდეგ იბრძოდით, და ეროვნულ ატმოსფერასა სწამლავდით და ეროვნულ ბრძოლას ანელებდით.

აი ასეთი ეროვნულად მომწამლავი სკოლის დამაარსებელი იყო ბ-ნი უორდანია, რომელიც „მეცნიერულად“ ამტკიცებდა, რომ არც ისტორიულად არც გეოგრაფიულად, არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად საქართველო არასოდეს ერი არა ყოფილა; ებლაც იმეორებს, ამას და რა გასაკვირველია, რომ მისი მრევლი ეროვნულად შეუგნებელი დარჩა წინააღმდეგობათა ლაბირინტში და მისი „მინისტრ პლენიპოტანსიერიც“, ბ-ნი ანჩინი, უფრო შორს წავიდა ამ ერის „უარყოფაში და თავის ახალ ბროშურაში „სახელმწიფო და ერი,“ რომელიც გამოიკა პარიზში 1939 წელს, ცარიელა სიტყვებით მოწოდების შემდეგ ქართველი ერის გაერთიანებისაკენ (წინასიტყვაობაში) და პირველ ნახევარში საბავშვო ზღაპრებისა სახელმწიფოსა და ერის შექმნაზედ, რომელსაც (ისტორიულად) ასაღებს, — გადადისქართველი ერის . . . არ არსებაზედ . . . სანამ მენშევიზმი არ ვაჩნდებოდა ჩვენშიო. მისთვის ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ასურეთ-ბაბილონი, ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი და სხვა, და სხვა ერები, რომელთაც შეჰქმნეს მსოფლიო ცივილიზაციები, სახელმწიფო — იმპერიები, ჩაუყარეს საფუძვლები ისტორიას, მეცნიერებას, ფილოსოფიას, სახელმწიფო და სამოქალაქო უფლებას ხელოვნებათა დარგებს, სარწმუნოებათა სიმრავლეს და სხ., — ერები კი არ არიან, არამედ წყვდიალსა და წუმპეში მბორგავი ბრბო და ხროვა; ევროპის ახალი სახელმწიფოები არა ნაკლებ უბედურებას წარმოადგენდნენ და . . . მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციამ გაანთავისუფლა ადამიანიც და შეჰქმნა ერიც. ამიტომ, რა მოსატანია, მით უფრო, — ამ დიდ ბუმბურაზებში — საქართველო, როგორც ერი, ან სახელმწიფო.

რომსა და საბერძნეთში, როცა ხელისუფლება გადაბიჭდა (?) ის ვერაფერს ხედავს, გარდა წუმპისა, უზნეობისა, ცეზარიზმისა და მონობისა და მხოლოდ როცა ბარბაროსებმა დაანგრიეს ეს ყველაფერი და დადგა საშუალო საუკუნოები მისი არა ნაკლები წუმპეთი, ფერ დალიზმით, ბატონ-ყმობით, ინკვიზიციით, გაუთავებელი ომებით . . . ჩნდება (?) დიდი სახელმწიფო-ერთეულები, თითქოს წინად დიდი სახელმწიფონი არ ყოფილიყვნენ, ამ ახალი ხანის დიდი სახელმწიფონი — სრული უუფლებობა, გახრწნილება და ატომიზაცია არის . . . თუმცა მაინც სინათლე ჩნდება: აბსოლიუტიზმა ალაგმა ფეოდალები, დიდ ტერიტორიაზედ გაჩნდა ვაჭრობა-მრეწველობა, შეიქმნა დიდი



ქალაქები, თითქოს წინად ყველა ეს არსად ყოფილიყოს, ბურუუა ხიადა სხ. ; თეორიული დასაბუთება მართვა-გამგეობისა, უფლების მეცნიერება,. თითქოს რომა არ იცოდა რა იყო უფლება! მაგრამ ალაგძული ფეოდალები, ახლა ტახტის მსახურნი არიან, წარმოება-ვაჭრობა ამქრების არტახებშია, სიღატაკე სოფელში, უმუშევრობა—ქალაქებში. ე. ს. საშინელება, სიბნელე და წყვდიადი . . . მაგრამ ამ უვიცაბის ზღაპრების შემდეგ—„იწყება ხანა დიდი და პატარა რევოლიუციებისა“ . . . და გრძელდება მეჩვიდმეტე—მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე და სისხლის შემდეგ . . . „ქვეშევრდომა—მოქალაქედ იქცევა; მყარდება თავისუფლება: სიტყვის, წერის, კავშირების“ . . . აღდგომა და ბედნიერებაა . . . „კაპიტალისტურმა ხანამ აღამიანი თავისუფალი გახადა, ის არავის ყმაა... არ პრის მიჯაჭული მიწაზე, არც დაზგაზე, მიდი - მოდის საღაცუნდა, ე. ს., უკუდი და მიწა ქალამანია მისთვის, ხალხური თქმულებისა არ იყოს.“

მაგრამ ეს სიხარულიც წუთიერია და იწყობა კაპიტალისტური ექსპლოატაცია, უფრო უარესი,—პროლეტარიებისა . . . აქედან ჩნდება კლასები და . . . კლასთა ბრძოლა. ეს ბრძოლა ისე ფართოვდება, რომ პროლეტარიატის, მუშათა კლასს ემატება „გლეხებიც, ხელოსანი, მიკიტანი, მოხელე, ინტელიგენცია - მშრ. კლასი, თუმცა ყოველივე ეს მარქსისა და უორდანის „დემოკრატიას“ ეწინააღმდეგება! ბურუუაზიას მრავალი აპარატები აქვს ხელში, მაგრამ დემოკრატიამ ყველა დაბრკოლება გადალახა, „პარლამენტში მისი ზმა ჰქონდა მართველი წრეების ხმას. (სად, როდის?) ეს ნორმალური ევოლუცია შესწყვიტა დიდმა ომმა, ხოლო მის გათავებისას თითქმის ყველგან იგივე დემოკრატია მოჰყვა სათავეში“ . . . ხელისუფლება „ნებითა ხალხისა“¹⁾ სინანდვილედ იქცა (?) . . . მაგრამ სად მოძღა ეს და რა შექმნა „ხალხის ნებამ“—არა ბრძანებს.

და ბ - ნი ანჩინი ამ სახითათო აღგილას ჩერდება „ისტორიული“ მიმოხილვის შემდეგ და თავის(?) დასკვნას აკეთებს: „ხახელმწიფო არის ადამიანთა ისეთი შეერთება, რომელიც ერთი ხელისუფლების ქვეშ, განსაზღვრულ ტერიტორიაზედ ცხოვრობს“—ო. მაგრამ ბ - ნი ანჩინი ამ „ისტორიულ - მეცნიერული“ დასაბუთება დასკვნით არა კმაყოფილდება და მხატვრულადაც ასურათებს თვის პირველ თავს: „სახელმწიფოს ადარებენ ორგანიზმს . . . ეს ანალოგია სწორია, მოსწრებულიც, . . . რამდენად ხალხი ეროვნებად გადაქმნილია. გაიხსენეთ ყავი და მისგან გამოსული მატყლი. ასეთია სახელმწიფოსა და ერის ნათესაობა, მეტაფორა რომ ვიხმაროთ.“

ანალოგია ორგანიზმთან იმდენად „მოსწრებულია,“ რომ ჯერ კიდევ რომში,—რომელიც, ანჩინის არც სახელმწიფო და არც, მით უფრო ერი არა ყოფილა, მას ხმარობდნენ პლებისისა და პატრიციების მოსარიგებლად; მაგრამ რამდენად მოსწრებულია ყავი და მატლი, ამას ვერ გეტყვით, რადგან აბრეშუის პარკიდან გამოდის „აბრეშუმის პეპელა და არა მატლი და უჭიოთ დარჩენილ პარკსა ჰქვიანყავი, და თუ რომელიმე პარკიდან გამოვიდა მატლი, მას შეიძლება დაერქვას თანამიმდევრობით: „ანჩინი“ და მისი—„სახელმწიფო და ერი“. ასეთი მეტაფორა—შედარებანი ხშირია ლიტერატურაში; ფილოსოფოსი სპენსერი იქამდის მიღის, სხვა ანალოგებთან ერთად



მაგ., რომ ტელეგრაფის მავთულებს სახელმწიფოში, ადარებს ადამიანის ორგანიზმის ნერვებს, მაგრამ, გარდა იმისა რომ კომპარეზონ ნეპა რეზონ,“ არავის აზრად არ მოუვა—მეტაფორა საბუთად წარმოადგინოს. მთვარეც შეიძლება შეადაროთ, მაგ., ფორთოხალსა ან ჭადაც ხანდახან ფერითაც (სიმრვვლით), მაგრამ შესაჭმელ საბუთად თქვენ თუ გამოგადგებათ.

აქ, ბ - ნი ანჩინის აზრით, საფრანგეთის „რევოლუციის ცოტა ადრე ხმარებაში შემოვიდა ერი, ეროვნება,“ წინად საფრანგეთის ერი არ არსებობდა და ამაში იმოწმებს . . . მიღიუკოვით,—საფრ. მინისტრ დარუანსონს, რომელსაც 1754 წ. უკვირს ასე ხშირად ამ სიტყვის ხმარებაო. . . და ის წყალწალებული ანექლოტი მოჰყავს, რომ მარშალ კელერმანმა ხმალზე ქუდის, „წამონცობით“ და პრუსიის ჯართან ბრძოლაში შეძახილით: „გაუმარველოს ერს“ და სხ. გადააჭცია ფრანგის ხალხი ერად. სამშობლო, მამული, ლაპატრი,—აი რა აღმოჩენა გააკეთა რევოლუციურმა საფრანგეთმა. . . რევოლუციენერებმა პატრიოტი დაირქვეს მეტ სახელათო“. ღენერალ კარნომ ყველა ერის, დიდისა და პატარის, დამოუკიდებლობა აღიარა პრიპად და „თუ აქამდისინ ნებისყოფის მატარებლად(?) სახელმწიფო გამოღიოდა, ამიერიდან მისი ადგილი ერმა დაიჭირა“ . . . „ფრანგულ პოლიტიკურ ლექსიკონში სახელმწიფო—ერმა, ნაციამ შესცვალა“. და მოჰყავს რა ბ - ნ ანჩინს, ფრანგული კონცეპცია „ნასიონ“, „ნასიონალიტე ფრანსეზ“. „დე ლა ნაციონალიტე უეორუეინ“ —თავისი, ალბად უვიცი მკითხველის შეუვანა სურს შეცდომაში (თუ, ღმერთო შეგცოდე, თითონაც ასე არა ფიქრობს) — რომ ფრანგისათვის, მართლა ნასიონ და ეტა ერთი და იგივეა და რომ კონცეპცია ერისა საზოგადოთ,—ვისთვისმე სავალდებულო იყოს.

ბ - ნ ანჩინს ნუ თუ არ გაუგია, რომ სამშობლო, მამული, მამულიშვილი, და სხ. ასეთი ცნებანი და რეალობანი მაშინაც არსებობდა, როცა ჯერ საფრანგეთი საზოგადოთ არცა ყოფილა ქვეყანაზედ, არც ის იცის რომ მრავალ ერიან სახელმწიფოებში ძალიან კარგად არჩევდნენ და არჩევენ დღესაც განსხვავებას ერისა და სახელმწიფოუს შორის. (მაგ., რუსეთში, ინგლისში, ყოფილ ავსტრო-უნგრეთში და სხ.) არ იცის თუ რატომ სწორედ საფრანგეთში შეიქმნა ერის ასეთი კონცეპცია, რომელიც თვით არის ნარევი მრავალი ერებისა და ტომებისაგან და მხოლოდ სახელმწიფოებრივი ერთობით ცეცხლითა და მახვილით, უკიდურესი ცენტრალიზმით შეიქმნა იგი საფრანგეთის ერად? არ იცის რომ საფრანგეთის ერი რევოლუციამ და კელერმანმა კი არ წარმოშვა, არამედ ათასი წლის განმავლობაში არსებობდა და იზრდებოდა მეფეების წყალობით? შეიძლება დღევანდელი მოცულობისა, ძლიერებისა და შეგნებისა არ იყო, მაგრამ — არ არსებობდა, ამას ხომ თქვენი „ანალოგიაც“ ლალატობს: ბავშვი რომ იბადება, სუსტია, მერე ჭაბუკდება, მაგრამ ვის მოუვა თავში, სთქვას: ის არც არსებულა, სანამ ბ-მა ანჩინმა არ დაარქვა: აღამიანია, ერიაო! აღამიანის ორგანიზმიც იცვლება მუდამ, მაგრამ აღამიანი ამიტომ სხვა საქონელი არა ხდება? მაგ. ანჩინმა მანიკიური გაიკეთოს, ან თითო გოსჭრან, — სახელიც შეიცვალოს, განა ამით იცვლება თვით რეალობა ანჩინის ბუნებისა? (გაგრძელება იქნება)

რ. გ.

ათი წლის თავზე

შენ გნატრობ ყოველ წამშია,
გიგონებ მალი მალაო,
წაუშლელი ხარ ჩემს გულში,
როგორც დღეს ისე ხვალაო.

ათი წელია უშენოთ
ობლის ცხოვრება გავლეო,
მოვალ და გნახავ ოდესმე,
სულს ისე აროთ დავლეო.

ბუნება გამშვენიერებს,
მთები დაგყურებს დიადი,
გარს სალ კლდეები გარტყია,
სილალეს გიკლავს წყვდიადი.

მრავალ ტყვეობით ცხოვრებამ
გრძნობის ღიმილი მოგტაცა,
ნამტირალევი გული გაქვს,
მოიცადევი ცოტაცა.

ყინულის სუსხმა დააზრო
მაისის ვარდის კოკრები,
ქართული სულის სიმძლავრეს
ვერ სპობენ მტრისა ისრები!

გრძოლა გრძელდება ბოლომდე,
არ არი გათავებული.
სამშობლოს ნახვას მოველი,
დიდის ხნის დამწუხებული.

ვიმედობ გამოდარდება,
მოვა ლამაზი ზაფხული,
თავისუფლება იელვ ას,
ძველადაც ბევრჯერ ნახული!

გაიფანტება უეცრივ
უცხო ყინულის ნისლები,
არწივი იფრენს ფრთა გაშლით,
იჭიკიკებენ მერცხლები.

ბულბული მღერით დაგვატკბობს,
შეიმოსება ბალები.
გაიზდებიან ლალადა
ობლად რჩენილი ბალლები.

მტევნებს მოიბმენ ვაზები
ატმები სურნელს გაშლიან.
ასეთი სიტკბოს დანახვა
საამო არი ძალიან.

ბოროტს კეთილი დასთრგუნავს,
გამოაშუქებს ნათელი,
ხალხში თაობით გადავა
ჩვენი გმირების სახელი.

კავკასიონის ქედზედა
მზე სხივს მოაფენს ახალი,
მიებარება სამარეს,
უღვთო მოსისხლე მტარვალი.

ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყანა,
მისთვის გვსურს სალი წამალი,
ვფიქრობთ მოატანს თენება,
მალე იყივლებს მამალი!

არწივი ლესავს ბრჭყალებსა
გაფრენას ლამობს მყივარი
ახლად მოელის მებრძოლსა
თოვლით ნაკვეთი მყინვარი.

6. წაწალაშვილი

ბერლინი, 1939 წ. 15 ივნისი

შ რ ტ ნ ი ა

სამგლოვიარო ფურცელი.

პარიზში გარდაიცვალა თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე დადიანი, სენაკის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი, და ქართული პატრიოტული წრეების აქტივური წევრი, ჯერ კიდევ ძველი რუსეთის დომინაციის დროს საქართველოში. განსვენებულის დედა კნეინა თამარი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ასული.

პარიზშივე გარდაიცვალა მოულოდნელად ავტონომიური აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, არზაყან ემუხვარი. ცნობები განსვენებულის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას, იხილე ბ. ემუხვარის წერილში ამავე ნომერში.


ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი და ქართული მუსიკის მოღვაწე ილია (ია) კარგარეთელი. განსვენებული იყო ოპერის ერთი პირველი მომღერალთაგანი ქართველთა შორის. პერეფდა სახალხო სიმღერებს, გამოსცა ქართული მუსიკის მიმოხილვა რუსულ ენაზედ და ათავსებდა ასეთივე ხასიათის წერილებს ქართულ-ულრალ გაზეთებში. განსვენებული მომღერალი იყო ძმა სახელ-განთქმული არქი -დიაკონის გ. კონსტასტინე კარგარეთელის.

ტფილისში გარდაიცვალა ბარბარე ამირეჯიბი, გენერალის თავად მიხეილ ამირეჯიბის ასული და დაი პროფ. კონსტანტინე ამირეჯიბის. განსვენებულს პერნდა დამთავრებული მოსკოვის კონსერვატორია, პერნდა საკუთარი კომპოზიციები და იყო მუსიკის პროფესორი ტფილისის კონსერვატორიაში.

საქართველოს ამბები.

საქართველოს მოსახლეობა უკანასკნელის 1939 წ.
აღწერით:

ქართულ „კომუნისტის“ ურთ უკანსკნელ ნომერთაგანში გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სტატისტიკა, უკანასკნელი, 1939 წ. აღწერის მიხედვით. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის სესახებ მოთავსებულია შემდეგი ცნობენი: 1926 წ. მოსახლეობა საქართველოს ქალაქებისა უდრიდა 594.221, სოფლის-2.083.012, სულ- 2.679.-233. 1939 წ. — ქალაქების-1.066.560, სოფლის-2.475.729, სულ 3.542-289. მათ შორის: ტფილისი-519.000, ქუთაისი-81.000, ბათუმი-70.000.



ამ უამად საქართველოში ითვლება 1615 მომღერალთა გუნდი, როგორც უკვე და დრამის წრე. ხალხში სახელი გაუთქვამთ ფოთის და სვანეთის მომღერალთა გუნდებს. გუნდების მუშაობას ხელმძღვანელობს „სახალხო შემოქმედების სახლი.“ უკვე ჩაწერილი ყოფილა 2000 - მდე სიმღერა, საქართვალოს სხვდასხვა კუთხეში შეკრებილი.

მოსკოვის აკადემიურ დიდ თეატრში დასადგმელად ამზადებენ ზაქ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერს.“ ხელმძღვანელობენ რუსის არტისტები. რეჟისორობს მ. გ. კვალიაშვილი, ლოტბარობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სომეხი ა. შ. მელიქ-ფაშავეგი. ოპერა წარმოდგენილი იქნება მიმდინარე სეზონის ბოლოს. ეთერისა და აბესალომის როლებს ასრულებენ რუსის ცნობილი მომღერალნი.

მომავალი ზაფხულში ქ. მოსკოვში დანიშნულია გასტროლი კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის ქართული დრამისა. ხელმძღვანელობს სახალხო არტისტი შალვა ლამბაშიძე. დადგმული იქნება: პ. კაკაბაძის „კოლხოზელის ქორწინება“, ზაქ. ანტონოვის „მზის დაბნელება“; „ჩატეხილი ხიდი“ და უშანგ ჩხეიძის ახალი პიესა „გიორგი სააკაძე“. ამავე პიესას სდგამს მაისში იგივე თეატრი ტფილისში რეჟისორ ვ. კუშიტაშვილის ხელმძღვანელობით. მხატვრად მოწვეულია ს. ქობულაძე; ტანისამოსის შესადგენად მხატვარი დარეჯან ძნელაძისა.

მრჩევლობა იკისრა პროფესორმა შალვა ამირანაშვილმა. მუსიკა კომპოზიტორ კოტე მელიქინეთ — ხუცესისაა. თვითონ შალვა ლამბაშიძე ასრულებს გიორგი სააკაძის როლს.

ტფილისის „ახალგაზრდა — მაყურებლის თეატრში“ დაუდგამთ გ. თაქთაქიშვილის პიესა „ხაღლის არჩეული“, რომელშიაც ავტორს გამოყვანილი ჰყოლია ახლანდელი მბრძანებელი საბჭოთა რუსეთისა. დამდგმელნი ყოფილან: დამსახურ. მსახიობი ალ თაყაიშვილი, მხატვარი დათავაძე.

ტფილისშივე რუსის „ახალგაზრდა — მაყურებლის თეატრში“ წარმოუდგენიათ გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის პიესა „ნაცარქექია“, მხატვარ მ. გოცირიძის ხელმძღვანელობით.

„რუსთაველის სახელმწიფო თეატრმა“ ოთხი წლის წინად დაარსა ათხაზური სექცია, რომელმაც ამას წინად გამართა კურს-დამთავრებული მსახიობთა წარმოდგენა. დასდგეს დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და მოლიერის „სვანარელი“ და „ცრურქოსანი“. წარმოდგენას ხელმძღვანელობდნენ სახ. მსახიობი აკ. ვასაძე, მხატვარი დ. თავაძე და დ. ალექსიძე. ახალგაზრდა ათხაზ-მსახიობებმა მ. ზუხბამ, ჩ. ჯობუამ და სხვ მიიპყრეს მაყურებელთა ყურადღება.—



წრეულს აპრილში განსვენებულ სომხის მგოსან ოვანეს თუმანიანს დაბადებიდან 70-წელ. შეუსრულდა.

სომხეთში, უკრაინაში და სხვ. აღნიშნეს ეს თარიღი. ტფილისშიაც 7 აპრილს გამართეს სალამო. მოგონება-მოხსბენებანი წაიკითხეს პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, კოსტ. სჭიჭინაძემ და პროფ. ლ. მელიქსეტბეგმა.

ახლად აღმოჩენილი ნაშთები.

დიდი არქეოლოგიური გათხრა — ძიება სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში. შექმნილია საქართველოს ძველი კულტურის ძეგლთა დასაცავი კომიტეტი. ბევრი რამე ისეთი აღმოაჩინეს მეცნიერებმა, რომელსაც უეჭველი მნიშვნელობა ექნება საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის.

მოსკოვში უკვე აპირობენ აღმოჩენილ ნაშთთა გამოფენას. შარშან I4 ძველი საფლავის გათხრის დროს ტფილისის ახლოს წალკის რაიონში აღმოუჩენიათ: ბაჯალლო ოქროს მასსივური სასმისი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ვერცხლის ხანჯალი, რომლითაც პირუტყვს ზვარაკად სწირავდნენ ღვთაებას; ბაჯალლო ოქროდან გაკეთებული ყელსაბამი, დედაკაცის თავის შესამკობი ოქროს სამკაული, ოქროდანვე ჩამოქანდაკებული ირემი, ვერცხლის ჭურჭელი, რომელზედაც გამოსახულია 20 ადამიანი მგლის ნიღაბებით პირისახეზე და მთავარი ქურუმი, სამსხვერპლო ტაბლასთან მჯდომარე. აღმოაჩინეს აგრეთვე დიდი მხედრის საფლავი, სადაც ელაგა ყველა მისი შესაჭურველი იარალი, ოქროდან გაკეთებული; მხედრის გვერდით ვერცხლით მოჭედილი ცხენის სამკაული.

ამ თხრას ხელმძღვანელობს ექსპედიციის მეთაური პროფ. კუჭტინი. ეს ძიება კიდევ დიდხანს გაგრძელდება. პროფ. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით სწარმოებს არქეოლოგიური კვლევა — ძიება ნაქალაქარ მცხეთაში. დაიწყო თხრა I3 ოქტომბერს 1938 წ. და კიდევ გრძელდება. დანიშნულია გასათხრელად 14 ჰექტარის სიდიდის ფართობი ბებრისციხესა და სამთავროს მონასტრის შუა. მუშაობას აწარმოებენ ფართობის ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაჭრებზე ა. კალანდაძის და მ. ივაშჩენკოს მეთაურობით. აღმოჩენილია სამსართულიანი საფლავები, ქვით (ფილაქნით) ამოწყობილი, აგრეთვე ამომწვარი აგურებით და კრამიტით.

ნაპოვნია შუბები, მახვილები, ისრების ბოლოები, მწყემსის სალამური, ძველი სამუსიკო იარალი ძვლისა სამ ჭუჭრუტანიანით ხელის დასადებად. ზოგიერთ საფლავებში ელაგა თიხის ჭურჭელი. ამ საფლავებში ისეთი სურათია ჩონჩხების და ძვლების, რომ სჩანს მიცვალებულები დაუსაფლავებიათ მოკუნტულები. სულ გათხრილია ჯერ-ჯერობით 300 მდე საფლავი! აღმოჩენილია სამკაულები, საყურეები, საკუცურები, ბეჭდები, მძივები, ბრინჯაოსი და ვერცხლისა, ფულები არშაკელების დროინდელი. აღმოჩენილ ლუსკუმის ქვაზე ორი წარწერაა — ბერძნული და ებრაული. ბერძნული წარწერა ეხება ხუროთ მოძღვრებას. სპეციალისტები არკვევენ ამ წარწერების შინაარს და მნიშვნელობას. სამხრეთის ნაწილში აღმოჩენილია კედელი, რომელიც პფიქრობენ გადის სამთავროს მონასტრის ქვეშ. ერთ-ერთ საფლავში ნახეს ჩონჩხი, რომელსაც ადგია პატარა ოქროს გვირგვინი, პირში და ხელში უდევს ფული რომაელ იმპერატორ აუგუსტისა

მეფისა; დაცული ყოფილა რომაული და არშაკიდების ეპიდემია სხვა და სხვა გამოხვატულებით. მთლიანი მნიშვნელოვანი გადატანილი იქნება მუზეუმში. ზოგან აღმოაჩინეს ქსოვილები. არის ნაშთები შინაური პირუტყვებისა — ხარის, ცხვის, გარეული ლორის. შენახულია ჩონჩხი ერთი პირუტყვის როჩარჭობილი. აქვს ისრის ძვლის ბოლო. საფლავები თითქმის ერთნეთზეა მიგმული, რაც მოასწავებს მაშინდელ მცხეთის მოსახლეობამ კვრივეს. მცხეთა უძველესი ქალაქია არა მარტო საქართველოში, არა მთელი ახლო აღმოსავლეთის. ნაპონი ნაშთები ეხებიან ხანას ფუჯაოს დროიდან — ჩვენი წელთა აღრიცხვის მე-2-3 საუკუნემდე. ამად საინტერესოა, რა ნაშთებს აღმოაჩენს ეს თხრა გ.

ჩ ვ ე ნ ი ფ ი ს ტ ა


პასუხი დედას.

თქვენ გსურთ შეიტყოთ, თუ როგორ არის მოწყობილი ბავშვების აღზრდის საქმე ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში? არ გვინდა დავაყოვნოთ ჩვენი პასუხი და ამიტომ იგი მოკლე იქნება. შემდეგში ვეცდებით ამ საგანს მეტი ყურადყება მივაპყროთ და ყოველმხრივ გავაშუქოთ, მით უფრო, რომ სამშობლოს გარეთ მყოფი ჩვენი მოზარდი თაობა მოითხოვს ჩვენის მხრით დიდ ზედამხედველობას და მზრუნველობას. ახლანდელი გერმანიის მეთაურობა განსაკუთრებულად უთვალყურებს თავის ახალგაზრდობას, რომელზედაც ამყარებს დიდ გერმანიის ბრწყინვალე მომავალს.

განახლებული სახელმწიფო მოითხოვს თვის წესწყობილების განმტკიცებას ეს შეუძლია მხოლოდ მთლიან არსებას, რომელსაც შეგნებულად აქვს შეთვისებული ნაციონალ-სოციალისტური მოძღვრება. დადგება ისეთი დრო, როდესაც სახელმწიფო ხელმძღვანელობის სათავეში მოქმედება ნაციონალ-სოციალისტურად აღზრდილი და გაწრთვნილი ვაჟკაცობა — ყოველ მხრივ განვითარებული.

კერ კიდევ სულ ნორჩია ბავშვი, რომ მას უკვე ნ. ს. პარტია ყურადღებას აქცევს. როგორც კი შედის სკოლაში, ის უკვე ირიცხება „სახელმწიფო ყრმობის“ ნაწილში ე. ი. შტატსიუგენდში. 6 წლიდან 14 წლამდე მომავალი ნაციონალ-სოციალისტი თავის ამხანაგებით შეადგენს „იუნგფოლის“, ე. ი ახალგაზრდა ხალხს. ამ ხნის განმავლობაში „ყრმობას“ წრთვნიან სხვადასხვა სათამაშოების, სპორტის და მოგზაურობის საშუალებით. ამავედროს უნერგავენ გულში ხალხის მეთაურისადმი ერთგულებას და მოძღვრების ადვილ-გასაგებ საფუძვლებს. დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე როგორც ოჯახს, ისე იმ გარემოს, რომელსაც ეკუთვნის გასაწრთვნელი ბავშვი; სცდილობენ სათანადო გავლენა მოახდინონ. სკოლის ხელმძღვანელების შერჩევას დიდი ყურადღება აქვს მიკუთვნილი, რადგანაც ამ ხალხზეა დამყარებული მთელი წრთვნა და გაზრდა ნორჩი თაობისა.

14 წლიდან 18 წლამდე ჭაბუკი იმყოფება „პიტლერ იუგენდის“ ნაწილში ე. ი. პიტლერის ახალგაზრდობის. აქ წრთვნა და გაზრდა მეტად მედგრად სწარმოებს.



როგორც ეი ჭაბუკი აღწევს 18 წელს და ათავებს საშე თუმანიანს სამართლება
 „გი უნდა გავიდეს „შრომის ბანაკში“. . . მას უნდა განუ-
 საბოლოოდ „სოციალური“ გრძნობა და რწმენა, ე. ი. შრომის ილის შიაც
 ვისცემა, აგრეთვე თანასწორების, და ამხანაგობისადმი. ამიტომ პოეტებმა
 ბანაკებში“ თავს იყრის ახალგაზრდობა სივადასხვა სოციალური
 რეობისა. ამ გარემოებას დიდი მწრთვნელი გავლენა ქვესრადგან
 ლები ეცნობიან ცხოვრებას უშუალოდ. შრომის ბანაკებს“ დევიზ
 თქმულება: „თაყვანი ეცით ყველაზე, ჩაც ჩვენ ძალოვანებათ გა-
 უნდა განმტკიცდეს ძალისა, და გამძლეობის იდეალი და შე-
 მებრძოლთა მაგარი მოდგმა. ამას ხელს უწყობს გიმნასტიკა, სპო-
 ექსკურსიები, მხედრული ვარჯიში და ლაშქრობა. ახალ თაობაში ად-
 უნდა მოჰყვეს მჭლე, ბეცი, განებივრებული, ფერ-წასული, მოდუნებულ
 ჭაბუკი. ადოლფ ჰიტლერმა ტყუილად არ წარმოსთქვა: „ქვეყანა არ არი-
 გაჩენილი სუსტ და მოშიშარ ერთათვის.“ ასეთივე ყურადღება აქვს მიქ-
 ცეული ახალგაზრდობას იტალიაში. სხვა ქვეყნებიც ჰბაძავენ მათ, მაგ-
 ბოლონეთში, საბერძნეთში, ბელგიაში და ბევრგან სხვავან. მამა-მძუძე.

რედაქციისაგან

რედაქცია უორჩილესად სთხოვს თავის მუდმივ თანამშრ-
 ომლებს და კორესპონდენტებს, რომ უურნალში დასაბეჭდათ
 გამოგზავნილი მასალა, ახალი სტამბის პირობების მიხედვით,
 აუცილებლად გარევეულის ხელით და სუფთად იყოს და-
 წერილი.

უურნალი „კ ა ვ კ ა ს ი ა“

წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

უურნალი მიზნად ისახავს კავკასიის უცხო ოკუპაციისა-
 გან განთავისუფლებას და კავკასიის დამოუკიდებელ სახე-
 ლმწიფოს შექმნას კონფედერაციის საფუძველზედ.

ფიქრობს რა უურნალი, რომ კავკასიის პოლიტიკური
 დამოუკიდებლობის და კულტურულ - ეკონომიკური წინსვ-
 ლის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახე-
 ლმწიფოს საფუძველზედ, რომელიც დაფუძნებული იქნება
 ეროვნულ სოლიდარობის ნიადაგზედ, იგი გაუწევს მედგარ
 ბრძოლას ყველა ანტიეროვნულ ძალას და ყველაზედ უწი-
 ნარეს ინტერნაციონალიზმსა და მარქსიზმს ბოლშევიკური
 სახით იქნება იგი გამოსახული თუ მენშევიკური.